# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 24 დეკემბერი 2007 №297 (3220) ფასი 50 თეთრი


## ელ კლასიკო კლასი იყო



## პრიმერაში რეალობა არ შეცვლილა

AFP ბარსელონიდან

## სერიაში ინტერიერი ვერც მილანმა შეცვალა



AFP მილანიდან



## ლეგენდარული სერიალი გრძელდება

### საშობაოდ: ტანა უმაგა გია ლაბაძესთან ერთად

ის არ იყო ჯონა ლომუსთანა დევკაცი, მაგრამ მაგარი კაცი იყო და მასზე არანაკლებ ღრმა კვალი დატოვა „ოლ ბლექსის" და საერთოდ რაგბის ისტორიაში. მისი ეშინოდათ, მას პატივს სცემდნენ, მასზე აბოდებდათ! მოედანზე ის უმოწყალო იყო, მაგრამ ცხოვრებაში ტანა უმაგა ჩვეულებრივი, სხვათაგან ალბათ მხოლოდ თმის წნულებით განსხვავებული ადამიანია.

ინტერვიუ ლეგენდარულ ახალზელანდიელთან დაახლოებით ერთი წლის წინაც შემოგთავაზეთ. მაშინ ის ჯერ კიდევ თამაშობდა რაგბის, ფრანგულ „ტულონში" ჩვენებური გია ლაბაძის თანაგუნდელი გახლდათ.

ის ახლაც „ტულონშია", ოღონდ უკვე მწვრთნელის სტატუსით და მასთან კიდევ ერთ ინტერვიუს ხვალინდელ „სარბიელში" გაახლებთ. ამ ჯერზე ბაჩო სვანიძის საშობაო კითხვებს ტანა გიასთან ერთად პასუხობს.

ახლახან ჩვენმა გაზეთმა ავსტრალიელ ლეგენდას, ჯორჯ გრეგანს შეგახვედრათ და ახალ წლამდე კიდევ ერთ ლეგენდასთან, ახალი ზელანდიის დიდ 10 ნომერ ენდრიუ მერთენსთან ინტერვიუსაც იხილავთ. ხვალ კი, როგორც ვთქვით, ტანა უმაგა იქნება...

# წლეულს შემოწმება. გაისად კი ვარჯიში



**საქართველოს** ჩემპიონატის ლიდერი თბილისის „დინამო“ მეორე წრისთვის მზადებას ახალი წლიდან დაიწყებს, თუმცა გუნდი წლეულს ერთხელაც შეიკრიბება და ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან.

3 იანვრიდან კი „დინამო“ დიღმის ბაზაზე „ჩაიკეტება“ და 12 იანვრამდე იქ ივარჯიშებს. სწორედ ამ დროში გაირკვევა წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობაც. ჯერჯერობით ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მთავარი მწვრთნელის, დუშან უჰრინის სურვილია, გუნდს „ბორჯომში“ განათხოვრებული შოთა გრიგალაშვილი და გიორგი ნერგაძე დაუბრუნდნენ.

პირველ უცხოურ შეკრებაზე „დინამო“ ანთალიაში 12 იანვარს გაემგზავრება, სადაც 23-მდე დარჩება, თუმც ანთალიასთან დიდი ხნით განშორება არ მოუწევთ — თვის ბოლოს „დინამო“ ისევ მიაშურებს თურქულ კურორტს და მეორე შეკრებას მოაწყობს, ორ კვირაში კი თბილისში დაბრუნდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლოკომოტივმა დაიწყო: კაიდარაშვილი-ქუცურუა

**თბილისის** „ლოკომოტივი“ მეორე წრისთვის ბევრ ცვლილებას ვეგმავს. გიორგი მიქაძემ, მიხეილ ბობოხიძემ, ალექსანდრე ლალაძემ, გიორგი ალავერდაშვილმა, ლერი ხოხონიშვილმა, მიხეილ ჟღენტმა, აკაკი ქუხილავამ და დავით გვარამაძემ გუნდი რომ დატოვეს, უკვე გამცნეთ.

ვაკელთა პირველი ახალწვეულები კი უკვე ცნობილია — ალექსანდრე კაიდარაშვილი, რომელმაც პირველი წრე ახალციხის „მესხეთში“ ითამაშა და „ლოკომოტივს“ „მიხეილ მესხზე“ ორი გოლიც გაუტანა და ბოლნისის „სიონის“ ნახევარმცველი გიორგი ქუცურუა.

კლუბმა ორივე მათგანთან ორ-ორწლიანი კონტრაქტები გააფორმა.

გუნდში დარჩებიან მთავარი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე და მისი თანაშემწე ზაზა ზამთარაძე, რომელთა წასვლაზეც აქამდე ლაპარაკობდნენ.

უახლოეს ხანს „ლოკომოტივში“ კიდევ ორ ახალწვეულს ელიან.

გუნდი კი მზადებას ხვალიდან შეუდგება. დაგეგმილია უცხოური შეკრებაც, თუმცა სად, კლუბის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია.


გიორგი კიკნაძე

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვიტ ჯორჯია: ჯერ კრება, მერე შეკრება

**ხვალიდან** მეორე წრისთვის მზადებას შეუდგება „ვიტ ჯორჯია“. კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე დაგეგმა, რა პროგრამით მოემზადება გუნდი. 25 დეკემბრიდან იანვრის ბოლომდე ვეტერინარები სპეციალური განრიგით მოემზადებიან — ვარჯიშები ფიზიკური კონდიციების აღდგენით დაიწყება და ეტაპობრივად ორჯერად ვარჯიშზე გადავლენ. ხანმოკლე პაუზა მხოლოდ საახალწლო დღეებში ექნებათ.

თებერვლის დასაწყისში კი „ვიტ ჯორჯია“ ორი კვირით ანთალიას მიაშურებს. როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა დავით ერაძემ გვითხრა, უკვე შეგულებულია რამდენიმე გუნდი, ვისთანაც ვეტერინარები საკონტროლო მატჩებს გამართავენ. კლუბში არ გამორიცხავენ იმასაც, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ ოთხთა საერთაშორისო ტურნირში მიიღოს მონაწილეობა.

ერაძის თქმითვე, გუნდში გამოჩნდა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებმაც ჩემპიონატსა თუ სათასო მატჩებში კარგად წარმოაჩინეს თავი და ძირითად შემადგენლობას შეეჩვივნენ. ამიტომ მეორე წრეშიც „ვიტ ჯორჯია“ ისევ ადგილობრივი კადრების იმედად იქნება და სხვა ფეხბურთელებით გაძლიერება თითქმის გამორიცხულია.

რაც შეეხება წამსვლელებს, ჯერჯერობით უცნობია, ვინ დატოვებს გუნდს. ამის თაობაზე ხელმძღვანელობა ხვალისთვის დანიშნულ კრებაზე იმსჯელებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დვალიშვილის აგენტი და პირობები



**რუსთავის** „ოლიმპმა“ რამდენიმე ფეხბურთელი გაათავისუფლა და განახლებულ სეზონს შეცვლილი შემადგენლობით შეხვდება.

გუნდიდან წასულთა შორისაა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ვლადიმერ დვალიშვილიც, ვინც ძირითადის მოთამაშედ ითვლებოდა.

— „ოლიმპმა“ ტრანსფერზე დამაყენა და ჩემი მენეჯერი მამუკა ჯუღელი გარკვეულ ვარიანტებზე მუშაობს. სხვადასხვა ქვეყნის კლუბებზეა საუბარი და ზუსტად არც ვიცი, თუმც ყველაფერი წლის ბოლომდე უნდა გაირკვეს. კარგი შემოთავაზების შემთხვევაში წავალ, თუ პირობები არ მომეწონა, მაშინ სეზონის ბოლომდე საქართველოში დავრჩები და უცხოეთში წასვლაზე მერე ვიფიქრებ“ — გვითხრა დვალიშვილმა.

**ლევან მაისურაძე**

# ახალციხე ახალციხეში რჩება

**მიმდინარე** ჩემპიონატის პატარა სიურპრიზი ახალციხის „მესხეთია“ — უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა პირველ წრეში კარგად ითამაშეს, მე-7 ადგილზე არიან და ძნელი სავარაუდოა, უმაღლესი დატოვონ.

ახალციხელები მეორე წრისთვის მზადებას 5 იანვარს დაიწყებენ. კლუბის ხელმძღვანელობას ერთი შეკრება ბაკურიანში აქვს დაგეგმილი, თუმცა კონკრეტული თარიღი ჯერ უცნობია.

რაც შეეხება ცვლილებებს: გუნდი მხოლოდ ალექსანდრე კაიდარაშვილმა დატოვა, დანარჩენები ჯერაც „მესხეთში“ არიან.

ხელმძღვანელთა თქმით, გარკვეული ცვლილებები იქნება.

ერთიც: მეორე წრეში „მესხეთი“ ისევ საკუთარ სტადიონზე ითამაშებს. საქმე ისაა, რომ ახალციხეში სტადიონის რეკონსტრუქცია უნდა დაწყებულიყო და ამის გამო სათამაშოდ ბორჯომი ჰქონდათ შეგულებული, მაგრამ სამუშაოების დაწყება გადაიდო და მესხებიც ჩემპიონატს შინაურ კედლებში ჩაამთავრებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



გია ახვლედიანის სვეტეული

# ისე

კლაუს ტოპმიოლერი კვლავ საქართველოს ნაკრების მწვრთნელია. ამაში მოულოდნელი არაფერია: კონტრაქტი რომ გაგრძელდებოდა, ყველამ იცოდა.

ამით ახალი ორწლიანი გამოწვევა იწყება, რაც ძალიან საინტერესოა.

თავის დროზე ტოპმიოლერი მხოლოდ ფედერაციის არჩევანი არ ყოფილა: ამ საქმეში ხელისუფლებაც მონაწილეობდა. ხელისუფლება ახალი ფედერაციის ჩამოყალიბებაშიც აქტიური იყო და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ხელისუფლებისთვის ფეხბურთის ნაკრები ძალიან მნიშვნელოვანია.

სხვა საქმეა, რომ ფეხბურთმა ხშირად მოლოდინის გაცრუებაც იცის.

საქართველოს ახლანდელი ნაკრები უამრავი რამით განსხვავდება ძირესისდროინდელი საქართველოს ნაკრებისგან და ამ განსხვავებათა სრული უმრავლესობა დადებით ემოციებს იწვევს, მაგრამ ამ ორ გუნდს შორის შედეგში განსხვავება არ არის და პრობლემაც ესაა. ეს ახალი გუნდი დაუმთავრებელი გუნდია.

მე ასეთი შეგრძნება მაქვს და სხვისი კი არ ვიცი. დაუმთავრებელი ცუდი სულაც არ არის. ლეონარდო და ვინჩის მთელი ცხოვრება თან დაჰქონდა თავისი ტილოები და მათ ყოველთვის უპოვნიდა ხოლმე ფუნჯის გასასმელს, დასამთავრებლად.

საშემოდგომოდ, ალბათ, ბევრი რამ გამოიკვეთება და საქართველოს ნაკრები დამთავრებული და საბრძოლოდ ჩამოქნილი იერით გავა მინდორზე. ჩვენ ყველა ციკლის წინ გვაქვს ოცნება — დიდი შეჯიბრის ფინალურ ეტაპზე გასვლა. ამიტომ ოცნებებში რეფორმა არ დაწყებულა: ისეა, როგორც ყოველთვის. სხვა საქმეა, რომ ეს ოცნება წლების განმავლობაში სწორედ რომ ნამდვილ ოცნებად ჩამოყალიბდა და ამიტომ მასში მოთხოვნა თითქმის აღარ შეინიშნება.

თავის დროზე, ტოპმიოლერის მოყვანა ერთგვარად იმასაც გულისხმობდა, რომ ამ ოცნებას უფრო განახლებული იერი მისცემოდა და მე ასე ვიცოდი, რომ პირველი ციკლიდან დიდი ოცნების ასრულებას ნამდვილად ვერ დაველოდებოდით. ყველას უფრო ის გვერჩივნა, რომ ნამდვილი თამაშები გვენახა, ჩვენი ნაკლი სწორედ ამ ნამდვილ თამაშებში აღმოგვეჩინა და მათი აღმოფხვრის ამბებიც დაგვეკლანდა.

ეგებ საკვირველიც იყოს, თუმც შარშანდელი შემოდგომის ნაკრები აგებდა, მაგრამ თვალისთვის და გულისთვის მართლა იყო. ამ გაზაფხულისა კი, რა მოგახსენოთ. წლის ბოლოს ნაკრებმა შემადგენლობა იცვალა, შოტლანდია მოახერხა, მერე კვლავ ჩაავდო და ახლა მოლოდინის დრო დაიწყო. ახალი ჯგუფი, ძველი ოცნება... ფეხბურთი ხომ ასეთი თავისუფალი თამაშია.

ტოპმიოლერი კარგი მწვრთნელია, სულ ვფიქრობდი, ნეტავ, ხუთი წლით ადრე მოხვედრილიყო ჩვენს მხარეში-მეთქი. ახალმა მოთამაშეებმა თვალი მოგვჭრეს შემოდგომის თამაშებში. ოცნებისა კი რა ვქნათ? გამოვაცოცხლოთ, თუ იყოს ისევ ისე, ზოგად ამბავში, საერთო-სახალხო ოცნებად.

ბოლო 15 წელიწადში ქართველი ფეხბურთელი რთულ ფენომენად ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით, ქართველი ფეხბურთელ-ვარსკვლავი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართველ ვარსკვლავს იმგვარი დამოკიდებულება ეტყობა, ვითომ პელე აინშტაინზე მაგარი ვინმე იყოს. ამიტომ, საქართველოს ნაკრების გაწვრთნა რთული საქმეა. ის რომ არც ვახსენოთ, რომ საქართველოს მსოფლიოს კლასისა და გამოცდილების ფეხბურთელი ძალიან ცოტა ჰყავს, ფეხბურთელების მენტალიტეტიც გვარიანი სირთულეა ხოლმე ჩამოსული თუ აქაური მწვრთნელებისთვის. მაგრამ ლატვიის ყველაზე დიდი ფეხბურთელები პახარსი და ვერპაკოვსკისი არიან და მათი გუნდი კი იყო ევროპის ჩემპიონატზე, ეკვადორი კი თავისი ტენორიოებით მშვენივრად გამოჩნდა მსოფლიოს თასზე.

ამიტომ ოცნება ცოცხალიც უნდა იყოს და ერთგვარად აგრესიულიც.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების „ისე“ გაწვრთნა არ გამოვა. ისე, ანუ ჩვეულებრივად საქმიანად, მხოლოდ კვალიფიკაციით, პროფესიონალიზმით, მოთხოვნით და დაყვავება-სიმკაცრით.

აქამდე სულ ორი ნაკრები ვიცოდი ასეთი, „ისე“ გაწვრთნა რომ არ გამოვა და იმათ სახელს და ლიდერს ნამდვილად ვერ შევედრებით, მაგრამ, ასე კი გამოვიდა და... ბრაზილია და ინგლისი. კი, ალბათ, სხვებიც იქნებიან, მაგრამ მე ჩვენზე ვფიქრე. ამ ნაკრებს ქარიზმა და სიგიჟე უნდა და ივარგებს. ლატვიურად არ გამოგვივა. ყველა თამაშში რაღაც სიგიჟე უნდა. ოღონდ, ქარიზმას ხილული ეშმაკობა აღარ უხდება. თუ ბრძოლაში არ ხარ და მარტო ფეხბურთში ხარ, ძნელად გამოვა. სხვას შეიძლება, გამოუვიდეს, შენ კი — ძნელად. ეგეთი ქვეყანაა და ფეხბურთიც იმდენი ხანია უქარიზმოდ იყო, რომ მგონი, სწორედ ამას ითხოვს.

აბა, რა ვიცი. ეგებ სისულელეებს ვლაპარაკობ. ისედაც- კაი, ჯანდაბას.

მოკლედ შემეძლო ამის დაწერა: „ჰამბურგთან“ რომ თბილისში პირველი ოთხი წუთი ითამაშა „დინამომ“, ის რომ მთელ თამაშად გვექცეს... ოცნებაც ეს არის და არა რაღაც სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მათე კმაყოფილია და გამოწერეს

**მათე ღვინიანიძის** მარცხენა მუხლის ოპერაციამ კარგად რომ ჩაიარა, უკვე გაუწყეთ. მათეს მენისკის დაზიანება ჰქონდა და ყოველგვარი რისკის გამორიცხვის გამო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

„კმაყოფილი ვარ, ტკივილები აღარ მაქვს და ძალიან კარგადაც მიგრძნობ" — ამბობს „ლომების" ქართველი მცველი, რომელიც ფოლფსარტის კლინიკიდან, გუნდის ექიმ ერიხ რიმბეკის რეკომენდაციით, უკვე გამოწერეს.

მათეს ძალიან უხარია, რომ შობა-ახალი წლის გატარებას მეგობრებთან ერთად შეძლებს და სურს, რაც შეიძლება, მალე დაუბრუნდეს მოედანს: „მიხარია, რომ ოპერაცია უკან მოვიტოვე და უკვე აღარ მინდა დროის დაკარგვა".

ტრავმის გამო „ლომების" მცველს ბოლოხანს აღარ უთამაშია — მას ალბათ სამი-ოთხი კვირა კიდევ მოუწევს უქმობა.

„ოპერაციამ გართულებების გარეშე ჩაიარა — განმარტა გუნდის ექიმმა ერიხ რიმბეკმა — ჩვენ მარცხენა მუხლის მენისკის ტრავმის დიაგნოზი ადრევე დავსვით. მათეს სრულ გამოჯანმრელებას სამი-ოთხი კვირაღა დასჭირდება".

**ნინო სილაგაძე**

# ქეცბაიამ კვიპროსი ლიდერობით დახურა

## ცოტაც არგენტინელ-პერუელზე



**კვიპროსის** ჩემპიონატში გუშინ წინასაახალწლო ბოლო ტური ჩათავდა, თემურ ქეცბაიას „ანართოსისი" კი ლიდერია და თანაც ექვსქულიანი ფორით.

მეთოთხმეტე ტურში ერთი ქართული გოლი გამოერია: ლევან ქებაძემ „აშნა" მე-8 წუთზე დააწინაურა, თუმცა „ალკისთან" მატჩში 1:1-ს დასჯერდა.

„აშნა" მე-11 ადგილზეა.

საინტერესოა, რომ „ბორჯომში" ნათამაშები არგენტინელი ფორვარდი გონსალო დე პორასი კვიპროსზეა, იქაურ ნიქოზიის „ოლიმპიაკოსში" თამაშობს და გუშინწინ გოლიც მიითვალა. ეს ის დე პორასია, „ბორჯომში" ოდენ ოთხი თვე რომ ითამაშა და ლამის უეფას თასზე გაიყვანა გუნდი — 2005-2006 წლების სეზონში.

დე პორასი „ბორჯომიდან" წასვლის შემდეგ სამშობლოში, „სან ლორენსოში" ირიცხებოდა.

აქვე, საქართველოს ჩემპიონატში ნათამაშები კიდევ ერთი ლეგიონერი გავიხსენოთ. 4-5 წლის წინ თბილისის „ლოკომოტივის" პერუელმა თავკაცმა ლუის ცაკარიასმა 17 წლის თვისტომი ფორვარდი, ხუან დიეგო გონსალესი ჩამოიყვანა. ამ ბიჭს ბევრი არ უთამაშია ვაკელთა გუნდში, თუმცა, რაც ითამაშა, ძალიან ნიჭიერი კი ჩანდა.

გონსალესი მერე ესპანურ „მალაგა B"-ში იყო, ბელგიურ „ვარეგემშიც" მოსინჯა ძალა, ხოლო ამჟამად პერუს ყველაზე ტიტულიან კლუბ „უნივერსიტარიოშია" და გოლებიც გააქვს.

**ილია ნანობაშვილი**

# გერმანელ ქართველებს ლიტველი მოუხსნეს

**ქართველი** ფეხბურთელებით უხვ „კარლ ცაისს" მთავარი მწვრთნელი შეუცვალეს — ლიტველ ვალდას ივანაუსკასს პირველ წრეში დაკავებული ბოლოსწინა ადგილი არ აპატიეს და მის ნაცვლად, იენელთა მეორე გუნდის თავკაცი ჰენინგ ბურგერი დანიშნეს.

საინტერესოა, რამდენად იმოქმედებს ქართველებზე ივანაუსკასის წასვლა.

„კარლ ცაისში" გიორგი ონიანი, გიორგი სეთურიძე, ილია კანდელაკი და რევაზ ბარაბაძე ირიცხებიან, ხოლო ამ ზამთარს მეკარე გიორგი ლომაიას დაბრუნებაზეცაა ლაპარაკი.

**ილია ნანობაშვილი**

# გოგიტა გოგუა: ისევ უკლუბოდ და ახლა ეგვიპტეში



**გოგიტა გოგუა** რამენსკოეს „სატურნის" ფეხბურთელი აღარაა — კლუბის ხელმძღვანელობამ მასთან თანამშრომლობის გაგრძელება არ ისურვა. საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი იჯარით იყო „სატურნში" და რუსეთის ჩემპიონატ-თასიანად სეზონში 17 მატჩი ჩაატარა, თუმცა საკმაო ხანს ტრავმა აწუხებდა.

ტრავმაც რომ არა, გოგუა „პლანეტელების" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ვერა და ვერ იქცა — გუნდში დიდი კონკურენცია იყო, პლუს ლეგიონერებზე ლიმიტმაც იქონია გავლენა.

„სატურნის" გენერალურმა დირექტორმა ბორის ჟიგანოვმა „ქართველი გატუზოს" სიტუაციაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, თუმცა ისედაც ცხადია, რომ საქმეში ანდრეი ჩერვიჩენკოს ხელი ურევია — გოგიტას მასთან პირადი კონტრაქტი აქვს დადებული, რუსი ბიზნესმენი კი ჩვენიანს ძალიან ძვირად აფასებს.

სავარაუდოდ, გოგუა ნაცნობ კლუბს დაუბრუნდება — „ხიმკის" ან ნალჩიკის „სპარტაკს", სადაც თითო სეზონი გაუტარებია. „ხიმკიში" თუ მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ნალჩიკში ჩვენიანი გულშემატკივართა საყვარელი ფეხბურთელი გახლდათ და მათ ძალიან დასწყვიტა გული გუნდიდან წასვლით.

შარშან ამ დროს ქართველი პრემიერლიგის საუკეთესო ლეგიონერად დაასახელეს.

მოკლედ, გოგუას კარიერაში მორიგი უკლუბო პერიოდია.

როგორც ფეხბურთელის ოჯახში გვითხრეს, გოგიტა ახლა ეგვიპტეშია დასასვენებლად...

**ილია ნანობაშვილი**


ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით
ქალაქის ქსელიდან: 20 0611
მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი



# ბენიტესმა, კალაძის შანსი გაგვექცაო

„ლივერპულის" თავკაცმა რაფა ბენიტესმა კახა კალაძის თემა დახურა: მისი შეძენის შანსი ხელიდან გავუშვითო.

რა შანსი ჰქონდათ „წითლებს", ვერ გეტყვით, მაგრამ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა არაერთხელ, მათ შორის, „სარბიელთან" საუბარშიც განაცხადა, „მილანიდან" წამსვლელი არ ვარო.

„კალაძის ვარიანტი არ გამოვიდა, ახლა „ფიორენტინას" ჩეხი მცველის, ტომაშ უიფალუშის შეძენას ვეცდებით" — თქვა ბენიტესმა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ტოპმიოლერ-მინგეს საშობაო გერმანია

**კლაუს ტოპმიოლერი** და რალფ მინგე საშობაოდ გერმანიაში დაბრუნდნენ.

საქართველოს ნაკრების გერმანელი მწვრთნელები ფედერაციას ახალ კონტრაქტზე შეუთანხმდნენ და საახალწლო დღეების მერე მუშაობას განაახლებენ.

ნაკრების თავკაცი ორი წლით ისევ ტოპმიოლერი იქნება და ამაში ახალი არაფერია, მინგეს კი თანაშემწეობის გარდა, ფედერაციის ტექნიკური დირექტორობაც ელის.

მოგეხსენებათ, ჰერ რალფი თავისი მშობლიური კლუბის, დრეზდენის „დინამოს" მრჩეველიცაა და ახლა სწორედ ამაზე უნდა გითხრათ.

გერმანული პრესის ცნობით, მინგე კლუბთან ურთიერთობის შეცვლას აპირებს.

ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ეკითხებიან, ორ ქვეყანაში მუშაობას ერთმანეთს როგორ უთავსებთო, რაზეც მინგეს პასუხი ასეთი იყო: „საქართველოს ნაკრებში მუშაობა ჩემთვის საამაყოა. ახლახან ტოპის ველაპარაკე და მითხრა, კონტრაქტის ორი წლით გაგრძელება გადაწყვეტილიაო. მეც სიამოვნებით გავაგრძელებ ხელშეკრულებას, თუმცა ქართული მხარისგან ახალი მოთხოვნები მივიღე და უკვე ყველაფერზე შევთანხმდით. ვიცი, რომ „დინამოს" ჩემი ყურადღება მოაკლდება, თუმცა იმედი მაქვს, ჩემი მშობლიური კლუბის დახმარებას მომავალშიც შევძლებ, მით უმეტეს, ამ საქმეში ფულს არ ვიღებ და ალბათ ის დროც მოვა, როცა „დინამოში" სრულ განაკვეთზე ვიმუშავებ. ახლა კი ეს შეუძლებელია. მე საქართველოს ნაკრებთან მაქვს საკონტრაქტო ვალდებულებები".

**კახა ზალამბერიძე**



[illegible] ფოტო

ეს უკრაინულ ჟურნალ MAX-ის 2008 წლის პირველი ნომრის ყდაა. ის დახლებზე იანვარში დაიდება, მისი პირველი სახე კი კახა კალაძეა. ჟურნალში გვამცნობენ, რომ ქართველი ფეხბურთელის მთელი ცხოვრება ზუსტად ასახავს ცხოვრების იმ წესს, რომლის პოპულარიზაციასაც MAX-ი ცდილობს. და კიდევ, კახა კალაძე უკრაინული MAX-ის გამომცემელია. ქვემოთ კი გამომცემლისა და მთავარი რედაქტორის ერთობლივ სვეტს გაგაცნობთ, რომლითაც ჟურნალი ახალ ცხოვრებას იწყებს...




# მომავლის ხედვა

**რაც** უნდა მოისმინოთ აქციონერთა კრებაზე და რაც უნდა არწმუნოთ თქვენივე კოლეგები თუ ხელქვეითები, ფაქტი ერთია: სამყაროს იდეები და ადამიანის ენერგია ამოძრავებს. ყველაფერი დანარჩენი, მშრალი ციფრები თუ კორპორატიული წესდებები, მეორეხარისხოვანია.

თუნდაც სტივ ჯობსის ამბავი გავიხსენოთ. ამ კაცმა APPLE-ში დაბრუნების მერე მსოფლიო შეძრა თავისი უბრალო იდეებით. არადა, მისი ხელფასი მხოლოდ 1 დოლარი იყო. და თუ ეს ამბავი თქვენში აღფრთოვანებას არ იწვევს, გთხოვთ, ყოველ შემთხვევაში, არ შეიმჩნიოთ მაინც.

ისე, ჯობსის ოპონენტი ახალი ტექნოლოგიების ათვისების საქმეში ბილ გეიტსიც არ გრძნობს უსუსურად თავს ტომარასავით კოსტიუმში. არადა, MICROSOFT-ის მეპატრონე FORBES-ის უმდიდრეს ადამიანთა სიაში პირველ ადგილზეა.

ჩვენ კი ეს ყველაფერი იმიტომ გვაინტერესებს, რომ მსოფლმხედველობათა დაჯახებით ახალი ჭეშმარიტება წარმოიქმნება ხოლმე.

მსოფლიო ყოველდღიურად იცვლება და 2008 წელიც არ იქნება გამონაკლისი.

როგორც აღმოვაჩინეთ, უკრაინა თავდაჯერებულად მიიწევს წინ და ჩვენი მოქალაქეები ბოლიდთა საჭესთან უკბილო ხუმრობა კი არა, ჩვენი დროის რეალობაა. როკის ვარსკვლავები და უბრალო მუსიკოსები სტერეოტიპთა და დამცინავი კომენტარების საპირისპიროდ — ფუტკრები თაფლის წინააღმდეგ — გადაჭრით ამბობენ უარს ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე. ისინი ხანგრძლივ სიცოცხლეს და უბრალო, ადამიანურ სიამოვნებებს ამჯობინებენ.

ალბათ მიხვდით, რისი თქმაც გვსურს — მომავლის ჩვენეული წარმოდგენა აბსურდულ პროგნოზებს კი არა, აშკარა ფაქტებს ეყრდნობა. ხოლო თუ ჩვენ მომავლის მოწყობის ყველა ნიუანსში არ ვიხედებით, ყოველ შემთხვევაში, ამ მომავალს ძალიან გულმოდგინედ ვაკვირდებით.

**ვალერი პოლიაკოვი**
**კახა კალაძე**











ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ თბილისში თურქეთის ქალაქ ერზერუმიდან საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები დაბრუნდნენ. იქ მათ სამ-სამი ამხანაგური თამაში გამართეს. საწყისი ორი დღე რომ ჩვენებისთვის მარცხიანი გამოდგა, „სარბიელის" წინა ნომრებშიც ვწერდით. ბოლო დღეს კი პატარებმა მეზობლებთან 10:31 წააგეს, დიდმა ნაკრებმა კი 17:42 დათმო თამაში. თუმც ისიც სათქმელია, რომ მთავარი გუნდის შემადგენლობაში ლამის მთლიანად ახალგაზრდულის ბიჭებმა ითამაშეს, რადგან მწვრთნელებმა როტაციის პრინციპს მიმართეს და ყველას მისცეს თავის გამოჩენის საშუალება.

ნაკრების თავკაცმა *იმედო ფხაკაძემ* თურქეთის თამაშები შეაფასა და სხვა ამბებზეც გვესაუბრა

# მარცხიანი, მაგრამ საჭირო თურქეთი

## იმედო ფხაკაძე: ლუქსემბურგს უნდა მოვუგოთ!

— შედეგებით და თამაშის ხარისხით, ბუნებრივია კმაყოფილი არ ვარ, თუმც თვითონ ის ფაქტი, რომ ასეთი შეკრების საშუალება მოგვეცა, ძალიან კარგია. პირველი დაპირისპირება ბრძოლაში წავაგეთ, ტაიმი სულაც ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. მერე და მერე დავთმეთ პოზიციები. თავი იჩინა დაღლილობისა და ადაპტაციის პრობლემებმა. ერზერუმი ზღვის დონიდან 1900 მეტრზეა და ბიჭებს ამან დისკომფორტი შეუქმნა. თან ნაკრებს ძირითადი ბირთვი, ლეგიონერები არ ჰყავდა, თორემ ისე თურქეთი ნამდვილად არ ჩანს დაუმარცხებელი, თუ სრულ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი, მათი ძლევა ნამდვილად შეგვიძლია.

— თურქეთში გამართულმა თამაშებმა ნაკრების მინუსები თუ დაგანახვათ, რაში გვაქს მოსამატებელი?

— ფიზიკური კონდიციები უნდა გავაუმჯობესოთ, სამუშაო გვაქვს ტაქტიკურ-ტექნიკური თვალსაზრისით. ამ მხრივ ეს თამაშებიც წაგვადგა, მაგრამ ჯერ კიდევ არის საკეთებელი. ისიც გამოჩნდა, რომ ბიჭების უმეტესობას საერთაშორისო დონეზე გამოსვლის გამოცდილება არ აქვს.

— ნაკრების წამყვანი ლეგიონერები თურქეთში არ იყვნენ, ეს პრობლემებს ხომ არ შეგიქმნით. ნაკრების ერთ-ერთი სუსტი წერტილი ხომ შეუთამაშებლობაა?

— მართალია, ხუთი ლეგიონერი ვერ ჩამოვიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დანარჩენი ყველა იყო. ლეგიონერებს საკუთარ კლუბებში თამაშები აქვთ და მჯერა, კარგ ფორმაში გვეწევიან. რაც შეეხება ტიტე კალანდაძეს, მას ტრავმა ჰქონდა და ამიტომ ვერ გამოგვყვა, მისი ამბავი მალე გაირკვევა.

საერთოდ კონკურენცია საკმაოდ დიდია, რაც ძალიან კარგია. ახალგაზრდულიდან ირაკლი და გიორგი ჩიქოვანები გადმოვიყვანეთ.

— „ჩელენჯ ტროფის" 20 იანვრის ფინალურ თამაშამდე როგორია ნაკრების გეგმები და ლუქსემბურგზე დამატებითი ინფორმაცია ხომ არ მოიპოვეთ?

— ნაკრები ერთ დღეს დაისვენებს და ვარჯიშს განაახლებს, უკვე 6 იანვრიდან დასკვნით მოსამზადებელ შეკრებაზე გადავალთ თელავში, სადაც გუნდს საბოლოო სახე მიეცემა. 14 კაციც შერჩეული მყავს, ოღონდ ჯერ მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ. თუმც თუ ვინმემ თავი წარმოაჩინა, შეიძლება, რამე შეიცვალოს. ლუქსემბურგზე კი გერმანიაში მოთამაშე არჩილ გარიშვილმა მოგვაწოდა გარკვეული ინფორმაცია და ჩვენი შეფასებები დაემთხვა, მეტოქე მოლდოვის დონის გუნდია. აუცილებლად უნდა მოვუგოთ, სხვა შედეგზე არც ვფიქრობ.

**ლევანო მაისურაძე**



# ოზური კანონი: 15 წელი მამაძაღლებს

**წლეულს** ჩოგბურთი კორუფციის პრობლემებს სერიოზულად პირველად წააწყდა — მიმდინარე სეზონში არაერთი სკანდალი აგორდა, რომელიც ჩოგბურთელების მოსყიდვას, ანაც მეჩოგნეთა ტოტალიზატორში თამაშს ეხებოდა. მსოფლიო ჩოგბურთის ხელმძღვანელებმა უკვე არაერთხელ აღნიშნეს, რომ ჩოგბურთში ამ ჯერაც ფეხმოკიდებულ სენთან ბრძოლა აუცილებელია.

თუმც ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა პირველებმა გადადგეს ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯები. გასულ უქმეებზე ოზებმა გამოაცხადეს, რომ მთელი რიგი ზომები მიიღეს, წლის პირველ სლემტურნირზე მატჩების ჩაწყობის თავიდან ასაცილებლად.

პირველ რიგში, იმუშავებს სპეციალური ცხელი ხაზი, რომელზეც ჩოგბურთელებს შეეძლებათ, განაცხადონ, თუ ვინმე მათ ქრთამს შესთავაზებს. ასევე აიკრძალება კორტის მიდამოებზე „ლეპტოპების" გამოყენება სპეციალური ნებართვის გარეშე. გარდა ამისა, მაქსიმალურად გაიზრდება უსაფრთხოების ზომები, რითაც გართულდება ჩოგბურთელებთან დაკავშირება.

ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის მეთაურ პოლ ვუდსის თქმით, ჩოგბურთელებს ან მათი შტაბების წევრებს წესების დარღვევის შემთხვევაში სხვადასხვა სასჯელი ემუქრებათ უბრალო ფულადი ჯარიმიდან დაწყებული, ჩოგბურთიდან [illegible] ბული. ხოლო თუ მეჩოგნეებს მატჩების ჩაწყობაში მონაწილეობა დაუმტკიცდათ, მათ არც პატიმრობა ასცდებათ — მწვანე კონტინენტის შტატ ვიქტორიის კანონებით მატჩების ჩაწყობა 15 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

„სულაც არ ვთვლით, რომ ჩოგბურთში კორუფციას სერიოზულად აქვს ფეხი მოკიდებული, მაგრამ ამ საფრთხის წინაშე მაინც ვდგავართ" — განაცხადა ვუდსმა.

დაბოლოს, შეიქმნება სპეციალური ანტიკორუფციული განყოფილება, რომელსაც პოლიციის ყოფილი დეტექტივები უხელმძღვანელებენ და ყველა საეჭვო საქმეს გამოიძიებენ.

**ჟაჟა ლომაშვილი**

# იტალიელი ვაცები

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი იმ მეჩოგნეებთან ბრძოლას, რომლებიც ტოტალიზატორში თამაშს არ ეშვებიან. ამ ახალი პოლიტიკის პირველი მსხვერპლნი იტალიელები აღმოჩნდნენ.



პოტიტო სტარაჩეს თამაში 6 კვირით აუკრძალეს

იტალიის პირველ ჩოგან პოტიტო სტარაჩეს, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 31-ე საფეხურზეა, პირველი იანვრიდან ექვსი კვირის განმავლობაში აეკრძალება კორტზე გასვლა. გარდა ამისა, მას 30 000 დოლარის გადახდა მოუწევს ჯარიმის სახით, რადგან თურმე ორი წლის წინ სტარაჩე ხუთჯერ ჩასულა ფსონს, რომლის მთლიანი ღირებულებაც, ოდენ 90 ევრო იყო.

სტარაჩეს ბედი კიდევ ერთმა აპენინელმა, დანიელე ბრაჩიალიმ (258-ე ნომერი) გაიზიარა. მას სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და 20 000 დოლარითაც დააჯარიმეს. იგი 50-ჯერ 5-ევროიან ფსონს ჩასულა.

ჩოგბურთელები იოლად იმიტომ გადარჩნენ, რომ საკუთარ თამაშებზე არ ჩადიოდნენ ფსონს.

შეგახსენებთ, რომ ორიოდ თვის წინ ამავე ბრალდებისთვის დასაჯეს კიდევ ერთი იტალიელი, ალესიო დი მაურო, რომელიც ჩოგბურთიდან 9 თვით მოკვეთეს.

ყველაფერ ამას ძალიან ნეგატიურად შეხვდა იტალიის ჩოგბურთის ფედერაცია, რომელსაც მიაჩნია, რომ აპენინელი მეჩოგნეები ზედმეტად მკაცრად დასაჯეს:

„ეს ყველაფერი ძალიან უსამართლოა. როგორც დი მაუროს შემთხვევაში, აქაც უაზროდ მკაცრად მოიქცნენ. ATP-მ ორი წლის წინაც იცოდა, რომ ამ ჩოგბურთელებმა ტოტალიზატორში ითამაშეს, მაგრამ მაშინ ზომები არ მიუღიათ, ახლა კი უცბად თავში დაარტყათ, რომ თურმე ეს ცუდი ყოფილა. უბრალოდ, წლეულს მომხდარი სკანდალების ფონზე მათ უნდათ, იმის შთაბეჭდილება შექმნან, რომ რაღაცას მაინც აკეთებენ, იტალიელი ჩოგბურთელები კი განტევების ვაცებად გამოჰყავთ".

დი მაურო თავისი სასჯელის გასაჩივრებას აპირებს და ამისთვის ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლოს უკვე მიმართა კიდეც.

**ჟაჟა ლომაშვილი**

# საფინი ავსტრალიისთვის ემზადება



**ძალიან** წარუმატებელი ორი სეზონის შემდეგ რუსი მარატ საფინი ძველ სიმაღლეებზე დაბრუნებას ესწრაფვის და ამის დაწყებას მელბურნის კორტებიდან გეგმავს. რაც არ უნდა ცუდ ფორმაში ყოფილიყო, მარატს მწვანე კონტინენტზე თამაში ყოველთვის გამოსდიოდა — იგი სამგზის ფინალისტია და 2005 წლის ჩემპიონი — და ახლაც იმედიანად არის, რომ ავსტრალიური კლიმატი მასზე სასარგებლოდ იმოქმედებს.

საფინი ჯერჯერობით ვალენსიაში ემზადება, სადაც საჩვენებელ ტურნირზე ითამაშა და ყველა შეხვედრა მოიგო. რუსი ესპანეთში კიდევ ერთ კვირას აპირებს დარჩენას, შემდეგ მოსკოვში შეხვდება ახალ წელს და უკვე პირველ იანვარს გეზს სამხრეთისკენ აიღებს.

მარატი სლემტურნირამდე მხოლოდ „კუიონგ კლასიკის" საჩვენებელ ტურნირზე იჩოგნავებს, თუმც აქ ბლომად ბობოლები იქნებიან (მათ შორის როჯერ ფედერერი და ენდი როდიკი) და საფინსაც კარგი სპარინგები არ მოაკლდება.

**ჟაჟა ლომაშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი
## IX ტური. 23 დეკემბერი. სპორტის სასახლე

**თსუ 81:77 ვითა**

*17:23 17:18 14:16 33:20*

თსუ: ჩიტაშვილი (16), ხეცურიანი (24), ფანჩულიძე (2), კეიდია (11), მათიაშვილი (16); არწივიძე (7), კოხრეიძე (3), ყველაშვილი (2), ლოსაბერიძე

ვითა: მარხვაშვილი (8), მარკოიშვილი (11), მ. ბერიშვილი (16), ბეჟანიშვილი (20), ბერძენიშვილი (17); ნ. ნოზაძე (5), წივწივაძე, გვიმრაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**დინამო 80:81 მაკაბი**

*18:10 22:28 26:15 14:28*

დინამო: ქლენტი (14), გულისაბედაშვილი (17), ლაფანაშვილი (8), აბალკაცი (14), ათანელაშვილი (10); ნანიტაშვილი (5), სიგუა (6), მაისურაძე (6), წერეთელი

მაკაბი: დ. ბერიშვილი (17), კორკოტაძე (5), ვაშაკიძე (22), ხ. შერმადინი (8), გ. შერმადინი (24); კოლუაშვილი (5), პირველაშვილი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

# ჩიტის არწივობა
## სტუდენტებმა ვითას გადაუფრინეს

**რუსთავში** პარასკევს დაწყებული ტური გუშინ თბილისში ჩამთავრდა. ქვემო ქართლში ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი კი შეხვდნენ, მაგრამ დაძაბულობით ის მატჩი თბილისურ შეხვედრებთან ახლოსაც ვერ მოვა. გუშინ სპორტის სასახლეში მისულმა გულშემატკივარმა საინტერესო ბრძოლები იხილა — ორივე მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა და მოულოდნელი შედეგებითაც დასრულდა.

ორივე შეხვედრაში გუნდებმა ცხრილში თავისზე მაღლა მყოფი ოპონენტები დაამარცხეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი განაგრძობს წარმატებულ სვლას — ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა ამჯერად „ვითა“ დაამწუხრეს და ცხრილში მეორე ადგილი წაართვეს.

არადა, თამაში ისე დაიწყო, „ვითას“ საბოლოო წარმატებაში ეჭვს ძნელად შეიტანდით. ზურაბ ტომარაძის გუნდი მარჯვედ იყენებდა შორ სროლებს და პერიმეტრის მიღმიდან იოლ ქულებს იხვეჭდა. პირველ მეოთხედში ვითელებს სამქულიანი არ აუცდენიათ, 5-დან ყველა ჩააგდეს, ხოლო მეორე ათწუთეულშიც ხუთჯერ დასჭექეს შორიდან და 4-ჯერ მიზანს უწიეს.

გიორგი მარკოიშვილი, ვლადიმერ ბეჟანიშვილი, გიორგი მარხვაშვილი, მიხეილ ბერიშვილი — „ვითას“ ეს ხელჩუბინი მოთამაშეები რობოტებივით ისროდნენ — პირველ ტაიმში ბურთს ფაქტობრივად არ აცილებდნენ და თსუ-ს მდევრად ამყოფებდნენ.

სტუდენტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქის სნაიპერობას ისინი არ დაუბნევია. რიჩარდ მათიაშვილი ფარქვეშ ატერორებდა მეტოქეებს, ხოლო შიო ხეცურიანი ხშირ-ხშირათ ძვრებოდა ხოლმე „ვითას“ სამწამიანში და ჭეიშვილის გუნდიც უსაშველოდ არ ჩამორჩებოდა.

პირველი ტაიმი „ვითამ“ 41:34 მოიგო და შესვენების შემდეგაც მოიწადინა სამქულიანებით ფონს გასვლა. სტუდენტებიც მიხვდნენ, რომ დაცვაში ძველებურად თამაში ხეირს არ მოუტანდათ და პერიმეტრზე ყურადღება გააძლიერეს. „ვითას“ ფრთები შეეკვეცა, თუმცა შორი სროლების გარდა ზურაბ ტომარაძეს არსენალში სხვა იარაღიც მოეძევებოდა: ვითელებმა ძალები ფარქვეშ გადააჯგუფეს და პირველი ტაიმის შუაწელში ქულით მიახლოებულ სტუდენტებს ისევ დაუხსლტნენ — 57:48 გადამწყვეტი მეოთხედის წინ.

თსუ-ს თუ გამარჯვება სურდა, ვითელების ფარქვეშ შეზღუდვაც მართებდა. ჭეიშვილმა მათიაშვილის ფარქვეშ დასახმარებლად მოედანზე გიორგი ყველაშვილი შეუშვა, რომელმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია როგორც დავით ბერძენიშვილს, ასევე „ვითას“ სხვა მეფარეებს.

დაცვაც რომ გამოასწორეს, სტუდენტებს ბურთის ჩამგდები უნდოდათ და აქ მათ მხსნელად ირაკლი კეიდია მოევლინათ. „კედოს“ მანამდელ სამ მოეთხედში ქულა არ ჩაეგდო და გადამწყვეტ მომენტში აიშვა, მან მიჯრით 11 ქულა მიითვალა, ძირითადად საშუალო მანძილიდან სროლებით, და თსუ-მაც თამაში გაათანაბრა — 61:61.

ეს იყო და ქულა ქულაში ბრძოლა გაჩაღდა. „ვითას“ ლამის მოპოვებული გამარჯვება ხელიდან ეცლებოდა და ძალიან მოინდომა. ამ მონდომებამ ტომარაძის გუნდს მცირე შვება მოუტანა — „ვითა“ ბერძენიშვილ-ბეჟანიშვილის ქულებით 71:65 დაწინაურდა, თუმცა...

ირაკლი კეიდიაც ამ დროს გავარდა მოედნიდან — თსუ-ს ათამაშებულმა ფორვარდმა მეხუთე პერსონალური მიიღო და მისი გუნდიც თითქოს წასაგებდა გაიწირა. სტუდენტებს ახალი წინამძღოლი ესაჭიროებოდათ და მათ მიხეილ ჭეიშვილმა უშველა — რა თქმა უნდა, რიჩარდ მათიაშვილიც მოწოდების სიმაღლეზე იყო გადამწყვეტ მომენტში.

არადა, თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ჭეიშვილმა ჩიტაშვილის მოედნიდან გაყვანა დააპირა. თსუ-ს მწვრთნელმა შეცვალა კიდეც ის, მაგრამ სანამ მოედნიდან გავიდოდა, ჩიტაშვილმა უმნიშვნელოვანესი სამქულიანი მოინადირა. ჭეიშვილს აშკარად შეეტყო, რომ მიხეილს გაყვანა არ სურდა, მაგრამ შეცვლა უკვე „შეკვეთილი“ იყო და... თუმცა თამაშის მორიგი შეჩერებისთანავე სტუდენტთა დამრიგებელმა ჩიტაშვილი უკანვე დააბრუნა.

თსუ-ს გამთამაშებელმა წარმატებით განაგრძო ბრძოლა და თუ თავად ვერ აგდებდა, თანაგუნდელისთვის პასი არ ენანებოდა. ასე მოატანა თამაშის ბოლო წუთმა, რომელსაც გუნდები თანაბრი ანგარიშით შეხვდნენ — 75:75.

თსუ-ელმა დავით არწივიძემ სამქულიანი რომ ააცილა და მომდევნო შეტევაში „ვითას“ ცენტრმა მეტოქის უხეშობის მიუხედავად ბურთი მაინც ჩააგდო, საფინალო სირენამდე 35 წამი რჩებოდა და ტომარაძის სამწყსომ ალბათ შვებითაც ამოისუნთქა. თუმცა ბერძენიშვილმა ჩაროზ-საჯარიმო ააცილა და მომდევნო შეტევაში უკვე ჩიტაშვილმა მოინაგრა ორქულიანს მოყოლილი საჯარიმო.

77:77 — სირენამდე 30 წამია და ჩიტაშვილმა საჯარიმო ააცილა, რომელიც ვითელებმა მოხსნეს და მყისიერად შეუტიეს. გიორგი მარკოიშვილი ფარქვეშ შევიდა, მაგრამ მის ნასროლს შიო ხეცურიანის ხელი გადაეფარა და ახლა სტუდენტებმა წამოიწყეს კონტრშეტევა. დასრულებამდე 17 წამით ადრე დავით არწივიძე ვითელებმა ჯარიმით შეაჩერეს და ამ რუსთაველმა ბიჭმა ხელისაუკანკალებლად შემატა თსუ-ს ორი ქულა.

„ვითამ“ გადამწყვეტ შეტევაში ბოლომდე გაათამაშა ბურთი, თუმცა შეტევის ხეირიანი შესაძლებლობა არ მისცემია, თორემ ტომარაძის შეგირდები შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ. თსუ მარჯვედ იცავდა თავს და როცა ტაბლოზე ნულები „მომწიფდა“, ვითელებმა იძულებით შეუტიეს. ვაკო ბეჟანიშვილმა უხერხული სიტუაციიდან გაისროლა სამქულიანი, მაგრამ ააცილა... აცილებული მათიაშვილმა მოხსნა, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან დააფიქსირა კიდეც საბოლოო ანგარიში — 81:77.

მეორე მატჩშიც არანაკლებ დაძაბული ფინალი ვიხილეთ. „მაკაბი“ მთელი თამაშის მანძილზე აგებდა „დინამოსთან“, მაგრამ...

...საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე გულივერ ახალკაცმა მორიგი შედეგიანი გარღვევა განახორციელა და „დინამოს“ უპირატესობამ 10 ქულას უწია. დარჩენილ დროში კი ისეთი ამბები მოხდა, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგა. „მაკაბიმ“ თამაშის შემოტრიალება მოახერხა, რაშიც ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდის მოედანზე მყოფ ყველა წევრს მიუძღვის წვლილი.

გიორგი პირველაშვილმა საჭირო მომენტში ჩაუჭრა ბურთი დინამოელებს, ძმებმა შერმადინებმა კი მორიგი ქულები მიითვალეს და სირენამდე წუთით ადრე „მაკაბის“ ჩამორჩენა 4 ქულამდე შემცირდა. შემდეგ ზურა კორკოტაძემ ჩაუჭრა მანამდე ყოჩაღად მობურთალ დინამოელ ცენტრ რევაზ ათანელიშვილს და გივი ვაშაკიძე „მაკაბის“ ოქროს სამქულიანით შეეწია. სათქმელია, რომ ვაშაკიძე ამ მატჩში პერიოდული აფეთქებებით გამოირჩა. პირველად ის დებიუტში აბობოქრდა, როცა 3 წუთში 13 ქულა მიითვალა, ხოლო მეორედ გადამწყვეტ წუთებზე

სირენამდე 50 წამით ადრე ჩაგდებულმა მისმა სამქულიანმა „მაკაბი“ მეტოქის ქულით მიაახლოვა და გივიმ დარჩენილ დროშიც ივაჟკაცა. „დინამოს“ იერიში იმავ ათანელიშვილმა გაანიავა და „მაკაბი“ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. ხუხაშვილის გუნდმა ბურთი მარჯვედ გაათამაშა და სასროლად კარგ პოზიციაზე დარჩა დავით ბერიშვილი, რომელსაც აუცდა და... გივი ვაშაკიძე ფარქვეშ დაუხვდა თანაგუნდელის არაზუსტ ნასროლს, წამიერი პაუზა გააკეთა და სირენის თანხლებით გამარჯვების ბურთი ჩაუგდო „დინამოს“ — 81:80.

**ირაკლი პერტაია**



„ვითამ“ და თსუ-მ ფარქვეშ დიდი ომი გადაიტანეს



მიხეილ ჩიტაშვილი და ირაკლი კეიდია თსუ-ს გამარჯვებას ზეიმობენ

**სატურნირო ვითარება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი-ინვესტი | 9 | 9 | 0 | 18 |
| თსუ | 9 | 5 | 4 | 14 |
| ვითა | 9 | 4 | 5 | 13 |
| მაკაბი | 9 | 3 | 6 | 12 |
| ავიამშენი | 9 | 3 | 6 | 12 |
| დინამო | 9 | 3 | 6 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

21 დეკემბერი

**პორტლენდი 99:96 დენვერი**
**პორტლენდი:** ვებსტერი (19), როი (18), ოლდრიჯი (18), ჯონსი (14)
**დენვერი:** ენტონი (34 ქულა, 12 მოხსნა), აივერსონი (34)

**ორლანდო 94:113 იუტა**
**ორლანდო:** თურქოღლუ (27), ჰოვარდი (20 ქულა, 13 მოხსნა)
**იუტა:** მილსაპი (28), ბუზერი (24 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), კირილენკო (18), უილიამსი (17)

**დალასი 102:89 კლიპერსი**
**დალასი:** ნოვიცკი (30), ჰარისი (21), ჰოვარდი (15), ტერი (14)
**კლიპერსი:** კამანი (24 ქულა, 19 მოხსნა)

**ფილადელფია 101:106 ლეიკერსი**
**ფილადელფია:** მილერი (21), იგუდალა (20), გრინი (16)
**ლეიკერსი:** ბინამი (24 ქულა, 11 მოხსნა), ოდომი (21 ქულა, 11 მოხსნა), ფიშერი (21), ბრაიანტი (19)

**დეტროიტი 94:67 მემფისი**
**დეტროიტი:** პრინსი (16), ბილაფსი (14), ჰამილტონი (14)
**მემფისი:** გაი (18)

**ბოსტონი 107:82 ჩიკაგო**
**ბოსტონი:** პირსი (22), ალენი (18), გარნეტი (12)
**ჩიკაგო:** გორდონი (19), გრეი (14)

**შარლოტი 105:95 ნიუ იორკი**
**შარლოტი:** ვოლესი (27), მუჰამედი (20 ქულა, 14 მოხსნა), რიჩარდსონი (17)
**ნიუ იორკი:** რობინსონი (20), კროუფორდი (16), რენდოლფი (15)

**სიეტლი 123:115 ტორონტო**
**სიეტლი:** დურანტი (27), შჩერბიაკი (23)
**ტორონტო:** ბოში (26 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (18), კაპონო (16), კალდერონი (15 ქულა, 16 პასი, 7 მოხსნა), დელფინო (15)

**მინესოტა 131:118 ინდიანა**
**მინესოტა:** ჯეფერსონი (29 ქულა, 19 მოხსნა), ტელფაირი (27 ქულა, 11 პასი), უოლკერი (23), გომესი (16)
**ინდიანა:** დანლივი (30), გრეინჯერი (14)

22 დეკემბერი

**მაიამი 102:104 იუტა**
**მაიამი:** ვეიდი (20), ონილი (17 ქულა, 10 მოხსნა), კუკი (15)
**იუტა:** უილიამსი (22), კირილენკო (21), მაილზი (20)

**ინდიანა 93:85 ვაშინგტონი**
**ინდიანა:** გრეინჯერი (25), ონილი (18 ქულა, 8 მოხსნა, 6 დაფარება), რაში (15)
**ვაშინგტონი:** ჯემისონი (29 ქულა, 12 მოხსნა), მეისონი (20), ჰეივუდი (8 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

**ნიუ ჯერსი 100:95 გოლდენ სტეიტი**
**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (31), კარტერი (23 ქულა, 12 მოხსნა, 6 ჩაჭრა), ბუნი (19 ქულა, 13 მოხსნა), კიდი (15 ქულა, 12 პასი, 11 მოხსნა)
**გოლდენ სტეიტი:** ჯეკსონი (21), ელისი (19), ბიედრინსი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 110:76 მინესოტა**
**ნიუ ორლეანი:** ვესტი (22), პოლი (19 ქულა, 15 პასი, 5 ჩაჭრა)
**მინესოტა:** გომესი (20), ჯეფერსონი (11 ქულა, 13 მოხსნა)

**მემფისი 97:99 ფილადელფია**
**მემფისი:** გასოლი (31 ქულა, 13 მოხსნა), მილერი (19), გაი (19)
**ფილადელფია:** მილერი (29), იგუდალა (23)

**სან ანტონიო 99:90 კლიპერსი**
**სან ანტონიო:** დანკანი (34 ქულა, 18 მოხსნა), პარკერი (18), უდოკა (17)
**კლიპერსი:** ტორნტონი (25), კამანი (20 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება), მობლი (16)

**ჩიკაგო 98:116 ჰიუსტონი**
**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (22), დენგი (21), გორდონი (18), სმიტი (16)
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (28), ველსი (20), მინი (18), სკოლა (14 ქულა, 11 მოხსნა)

**მილუოკი 103:99 შარლოტი**
**მილუოკი:** ძიანლიანი (29 ქულა, 10 მოხსნა), რედი (27), უილიამსი (22 ქულა, 9 პასი, 4 ჩაჭრა), ბოგუტი (14 ქულა, 10 მოხსნა)
**შარლოტი:** რიჩარდსონი (30), ოკაფორი (17), ფელტონი (17), ვოლესი (15), მუჰამედი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**ფინიქსი 122:103 ტორონტო**
**ფინიქსი:** ბარბოსა (31), სტუდემაიერი (28 ქულა, 11 მოხსნა), ჰილი (25), მერიონი (12), ნეში (7 ქულა, 16 პასი)
**ტორონტო:** ბოში (42 ქულა, 13 მოხსნა)

## ჯონსონი ჯო ჯობს



ჯო ჯონსონმა „ვაშინგტონს“ 32 ქულა ჩაუკალათა

21 დეკემბერი

**ვაშინგტონი 92:97 ატლანტა**
**ვაშინგტონი:** მეისონი (3), სტივენსი (18), ბატლერი (13), ჯემისონი (30), ჰეივუდი (6); იანგი (14), სონგაილა (4), მაგუაირი (2), ბლეტჩი (2), ვაილქსი
**ატლანტა:** ე. ჯონსონი (5), ჯ. ჯონსონი (32), მ. უილიამსი (22), სმიტი (16 ქულა, 14 მოხსნა), ჰორფორდი (13); ჩილდრესი (4 ქულა, 11 მოხსნა), ფაჩულია (17 წუთი, 3 ქულა, 6 მოხსნა, 1 დაფარება), ვესტი (2), ლოუ

შენზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, თქვა ენტონი ჯონსონზე მისმა თანაგუნდელმა და მოგვარე ჯო ჯონსონმა და ახლა მან დადგა მოედანზე სპექტაკლი. „ატლანტა ჰოქსის“ საუკეთესო მოთამაშემ „ვაშინგტონთან“ შეხვედრაში ენტონისგან უკუიპყრო გუნდის ლიდერის სადავეები და თავად ხომ ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა და თავისიანებსაც ზედიზედ მეოთხე თამაში მოაგებინა.

„ატლანტასთვის“ ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო არა იმიტომ, რომ ჯორჯიელებს დედაქალაქში 2003 წლის დეკემბრის შემდეგ ხეირი არ ენახათ. სტერეოტიპებს რომ ამსხვრევ და უხერხულ მეტოქეს უგებ, ეს თავისთავად შესანიშნავ-აღსანიშნავია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ „ვაშინგტონი“ „ატლანტას“ თანადივიზიონელი და უშუალო კონკურენტია. ამ გამარჯვებით „ქორებმა“ „ჯადოქრები“ ხომ ჩამოიტოვეს და საერთო აღმოსავლურ ცხრილშიც მეოთხე ადგილამდე აღზევდნენ. მათ ახლა წაგებებზე ორით მეტი მოგება უწკარუნებთ ყულაბაში, ასეთი რამ კი 1999 წლის შემდეგ არ შეინიშნებოდა ბოლო ხანს ამ ფსკერზე დალექილ გუნდთან მიმართებაში. „ატლანტა“ პლეი ოფში ბოლოს სწორედ 1999 წელს მოხვდა, მას შემდეგ კი 8 სეზონი იჯახირა. ახლა ეს გუნდი ისეთ ლონიერ კალათბურთს თამაშობს, დიდი შანსია, მთა თუ არა ყინული მაინც დაძრას. თუ „ატლანტა“ პლეი ოფში მოხვდა, იქ ალბათ მისი ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულიაც ითამაშებს. შევახსენებთ, რომ ჯერ არც მას, არც ნიკა ცქიტიშვილს და არც ვოვა სტეფანიას პლეი ოფი გემო არ გაუსინჯავთ, მიუხედავად იმისა, რომ ზაზამ უკვე ოთხი სეზონი მოილია, ცქიტიშვილმა ნბა-ში ოთხი წელი დაჰყო, სტეფანიამ კი — ექვსი.

დავუბრუნდეთ თამაშს, სადაც ჯო ჯონსონი გულოვნობდა და დამხვდურებში არავინ ჩანდა მისი გამჩერებელი, განსაკუთრებით კი უკანასკნელ მეოთხედში, რომელშიც მან 16 ქულა დაატეხა დედაქალაქელებს. „ჯომ ყველას აჯობა, ის დიდებული იყო — ნამატჩევს თანაგუნდელს ხოტბას ასხამდა ჯოშ სმიტი — ბოლო მეოთხედში მან ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა, ჩააგდო მნიშვნელოვანი ბურთები, ხოლო როდესაც ორი კაცით მეურვეობდნენ, ისეთი პასები დაგვირიგა, სკოლის ახალბედებიც ჩააგდებდნენ.“

კმაყოფილობდა თავად მატჩის საუკეთესო მოთამაშეც — „დარწმუნებული ვარ, ყველა, ვიმეორებ, ყველა ჩემს თანაგუნდელს ღრმად სჯერა, რომ ნებისმიერ გუნდთან თანაბრად თამაში შეუძლია. იცით, ეს რას ნიშნავს? ჩვენ უკვე მოვმწიფდით რაღაც მნიშვნელოვანისთვის. შორს გახედვა ვისწავლეთ. ყოველ გამარჯვებას რაღაც დიდის შემადგენელ ნაწილად აღვიქვამთ.“

მოკლედ რომ ვთქვათ, ჯო ამბობს, პლეი ოფის დრო დავიდგაო. უტრავმო სეზონი ვუსურვოთ ამ გუნდს.

## ობლის კვერი ადრეულად ცხვება

ასოციაციის ყველაზე ახალგაზრდული გუნდი „პორტლენდი“ აგრძელებს იმას, რაც 3 დეკემბერს „მემფისთან“ დაიწყო. ამ გუნდმა უკვე ათამდე დაამრგვალა ზედიზედ მოგებათა სერია. არადა, ვინ წარმოიდგენდა ამას? დრაფტის პირველი ნომერი და ნბა-ში მოსვლამდე გაფეტიშებული, მერე კი მთელი წლით დამტვრეული გრეგ ოდენიც, მისიანებიც და სხვისიანებიც, მოკლედ, ყველა ფიქრობდა, რომ „პორტლენდს“ სეზონი ცომივით ჩაუვარდებოდა. მაგრამ, თავისდა გასაკვირადაც, ნეიტ მაკმილანის შეგირდებმა მოგებებს გემო გაუგეს და მათ საახალწლო კვერებივით აცხობენ.

არც „ფინიქსს“, არც „სან ანტონიოს“, არც „დეტროიტს“... არავის მოუგია მიმდინარე სეზონში ზედიზედ 10 თამაში. ამ ათიდან კი პორტლენდმა აგერ, მეორე მარცხი აჯახა „დენვერს“.

„ვერაფრით ამიხსნია, რა ხდება... ძნელია ამას გასაღები მოუძებნო — ხელებს შლის „დენვერის“ ლიდერი კარმელო ენტონი, რომელმაც სხმარტალა მეტოქესთან მეორედ იწვნია მარცხი და ამ ჯერზე მასაც და მეორე დიდ ვარსკვლავ ალენ აივერსონსაც 34-34 ქულა გაუხუნდათ — ისინი ძალზე სწრაფები არიან და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე შეთვისებული აქვთ გუნდური თამაშის პრინციპები. თანაც რასაც ესვრიან, ყველაფერი უვარდებათ კალათში.“

„პორტლენდს“ არ ჰყავს „დენვერისთანა“ ვარსკვლავები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არც სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, ეს 10 თამაში ისე მოიგო და აუტსაიდერებიდან ლიდერებში ისე გაერია, რომ არც ერთ პორტლენდელს 30 ქულაზე მეტ არ გაუკეთებია. მაქსიმუმი იყო ბრენდან როის 29 ქულა 11 დეკემბერს „იუტასთან“. ისე კი, როი ამ 10 თამაშში საშუალოდ 23,6 ქულას, 5,3 მოხსნას და 6,4 პასს იხვეჭს და კარგი შანსი აქვს, პირველად ერგოს თვის საუკეთესო მოთამაშის საპატიო წოდება.

„პორტლენდი“ თუ გამარჯვებებს აცხობს, ნიუჯერსელი ჯეისონ კიდისთვის სამმაგი დუბლების კეთებაა ყოველდღიური საქმე. 35 წელს მიტანებული ვეტერანი კარიერის დაისზეც არ ცხრება და ისევე იოლად აგროვებს 10-ზე მეტ ქულა-მოხსნა-პასს, როგორც აისზე აკეთებდა და თან სიამოვნებასაც ნახულობს. ვბერდები და უკეთესი ვხდებიო — სიცილით ამბობს.

„გოლდენ სტეიტთან“ შინაურ მატჩში კიდმა სეზონში მე-7, კარიერაში კი 94-ე სამმაგი მიითვალა და ქომაგები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ამ რეგულარულში სულ იოლად დაამრგვალებს ასამდე.

ამ უქმეებზე ყველაზე ბარაქიანი მოსავალი აიღო „ტორონტო რეპტორზის“ ლიდერმა კრის ბოშმა, ვინც 24 საჯარიმოდან 22 ჩააგდო, სულ კი 42 ქულა მოაგროვა, მაგრამ უკვე მესამე მეოთხედში გაირკვა, რომ ამაოდ ირჯებოდა — სტივ ნეშის „ფინიქსმა“ იოლად დაამარცხა მისი „ტორონტო“.

**კოტე ყორშია**




## პატარა გენერალი ჭერზე დაკიდეს

**„სან ანტონიო სპურზმა“** დიდი პატივი დასდო თავის ყოფილ მოთამაშეს ავერი ჯონსონს და მუდმივი ნომერი უბოძა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯონსონის მიერ ნატარები „სფურზის“ 6-ნომრიანი მაისურით ამ გუნდში ვეღარავინ ითამაშებს.

ავერი ჯონსონი ნბა-ში 16 წელიწადს თამაშობდა და აქედან 10 სან ანტონიოში გაატარა, სადაც 644 თამაშში საშუალოდ 10,1 ქულა და 6,9 პასი აკეთა. ის გახლდათ 1999 წელს პირველად გაჩემპიონებული „სან ანტონიოს“ გამთამაშებელი და ემოციური ლიდერიც კი, მიუხედავად იმისა, რომ იმ გუნდში თამაშობდნენ დევიდ რობინსონი, ტიმ დანკანი და შონ ელიოტი. სწორედ იმ დროიდან მოჰყვება ჯონსონს მეტსახელი — „პატარა გენერალი“. მას ასე ეძახიან „დალასშიც“, სადაც უკვე მეოთხე სეზონია მთავარ მწვრთნელად მუშაობს და წარმატებითაც — 2005-06 წლების სეზონში კოლეგათა შორის საუკეთესოდაც დაასახელეს.

ავერი ჯონსონი მეექვსე სანანტონიოელია, ვისი ნომერიც საკლუბო დარბაზის ჭერზე დაკიდეს. სხვა დაფასებულები არიან ჯონი მური (00), ჯეიმს საილასი (13), შონ ელიოტი (32), ჯორჯ გერვინი (44) და დევიდ რობინსონი (50).

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 21 | 3 | 87,5 |
| ტორონტო | 15 | 14 | 51,7 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 15 | 44,4 |
| ფილადელფია | 11 | 16 | 40,7 |
| ნიუ იორკი | 8 | 18 | 30,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 19 | 7 | 73,1 |
| ინდიანა | 15 | 13 | 53,6 |
| კლივლენდი | 12 | 15 | 44,4 |
| მილუოკი | 11 | 15 | 42,3 |
| ჩიკაგო | 9 | 16 | 36,0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 18 | 10 | 64,3 |
| ატლანტა | 14 | 12 | 53,8 |
| ვაშინგტონი | 13 | 13 | 50,0 |
| შარლოტი | 10 | 15 | 40,0 |
| მაიამი | 8 | 19 | 29,6 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 19 | 7 | 73,1 |
| დალასი | 19 | 9 | 67,9 |
| ნიუ ორლეანი | 17 | 10 | 63,0 |
| ჰიუსტონი | 13 | 14 | 48,1 |
| მემფისი | 8 | 19 | 29,6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 15 | 11 | 57,7 |
| პორტლენდი | 15 | 12 | 55,6 |
| იუტა | 15 | 14 | 51,7 |
| სიეტლი | 8 | 19 | 29,6 |
| მინესოტა | 4 | 22 | 15,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 19 | 8 | 70,4 |
| ლეიკერსი | 16 | 10 | 61,5 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 12 | 55,6 |
| საკრამენტო | 11 | 14 | 44,0 |
| კლიპერსი | 9 | 17 | 34,6 |

# ამერიკელის ავსტრიული დუბლი



ლინდსი კილდოუ

**მთის** მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის 2007-08 წლების გათამაშების ქალთა ნახევარში მოვლენები კალეიდოსკოპური, მართლაც რომ „თეთრი ცირკის“ შესაფერისი სიჩქარეებით ვითარდება.

თავიდან გენერალურ კლასიფიკაციაში ავსტრიელები — ნიკოლ ჰოსპი და მარლიზ შილდი დაწინაურდნენ; მერე სამთო თხილამურობის შვედმა პრიმამ ანია პერსონმა წყვილი გამარჯვება მოიპოვა და საერთო ჩათვლაშიც ყველას გადაასწრო; გასულ პარასკევს და შაბათს ავსტრიულ სენტ ანტონიში გამართული სწრაფდაშვებისა და სუპერკომბინაციის შემდეგ კი პერსონი შილდთან ერთად, ოდენ მეოთხე ადგილს იყოფს და თავში კი ამერიკელი ლინდსი კილდოუა, რომელმაც შვედის არ იყოს, წყვილად იმარჯვა, ერთბაშად 200 ქულა მოიხვეჭა და მთელი 55 ქულით გადაასწრო მეორე ადგილზე მყოფ ჰოსპს.

მთლიანობაშიც, სენტანტონურმა ეტაპებმა ჩრდილოამერიკელთა დომინაციით ჩაიარა. სწრაფდაშვების პოდიუმზე კილდოუს გვერდი კანადელმა კელი ვანდერბიკმა და მეორე ამერიკელმა ჯულია მანკუზომ დაუმშვენეს და მანკუზომ სუპერკომბინაციაშიც მესამე ადგილი დაიკავა, რისი წყალობითაც გენერალურ კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილზე აინაცვლა.

სუპერკომბინაციაში კილდოუმ, კვლავაც სწრაფდაშვებაში ბრწყინვალე გამოსვლის წყალობით იმარჯვა, როდესაც მეორე შედეგის მქონე მანკუზო წამნახევრით ჩამოიტოვა და თანაც, პერსონმა, შილდმა და ჰოსპმა ფინიშსაც კი ვერ უწიეს. დანარჩენი, უკვე ტექნიკის საქმე იყო — ლინდსიმ სლალომში არ გარისკა, მშვიდად ჩაისრიალა, ოდენ მეათე შედეგი აჩვენა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

**მსოფლიოს თასი. ქალები. სენტ ანტონი. ავსტრია. 21-22 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1 წთ 32,00 წმ |
| 2. კელი ვანდერბიკი (კანადა) | 1.32,36 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1.32,38 |
| 4. ფრენცი აუფდენბლატენი (შვეიცარია) | 1.32,58 |
| 5. მარია ჰოლაუსი (ავსტრია) | 1.32,70 |
| **სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება + სლალომის ერთი ცდა)** | |
| 1. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 2 წთ 20,28 წმ (1.31,75+48,53) |
| 2. მარია რიოში (გერმანია) | 2.20,91 (1.33,47+47,44) |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 2.20,93 (1.33,23+47,70) |
| 4. ანა ფენინგერი (ავსტრია) | 2.22,56 (1.34,52+48,04) |
| 5. კატრინ ზეტელი (ავსტრია) | 2.22,97 (1.35,44+47,53) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 474 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 419 |
| 3. მარია რიოში (გერმანია) | 389 |
| 4-5. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 383 |
| 4-5. ანია პერსონი (შვედეთი) | 383 |



# მორგენშტერნი დაფრინავს

**თხილამურებით** ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიოს თასის წლევანდელი გათამაშება ერთი მსახიობის თეატრს წააგავს — შაბათის ენგელბერგული შეჯიბრის ჩათვლით გამართული ექვსივე ეტაპი 21 წლის ავსტრიელი ტომას მორგენშტერნის გამარჯვებით დასრულდა.

სეზონის ასეთი ტრიუმფალური დასაწყისი არასდროს არავის ქონია და ასეთი უზარმაზარი უპირატესობით, მეტოქეებს, გასული საუკუნის 80-იანი წლების უპირობო ლიდერი, ყველა დროის, ალბათ უდიდესი მხტომელი, ფინელი მატი ნიუკიანენი თუ ამარცხებდა.

შვეიცარიული ენგელბერგის დიდ ტრამპლინზე ტურინის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა სტაბილურობის ხარჯზე იმარჯვა — ჯერ 132,5 მეტრზე გაფრინდა, შემდეგ 133 მეტრზე და თანაც, ორივე ნახტომი იდეალურად იყო შესრულებული. არადა, ყველაზე გრძელი — 134,5 მეტრიანი ნახტომები მორგენშტერნის თანამემამულეებმა, ანდრეას კოფლერმა და გრეგორ შლირენცაუერმა შეასრულეს, პირველმა პირველ, ხოლო მეორემ მეორე ცდაზე, მაგრამ კოფლერის მეორე ნახტომი ოდენ 128,5 მეტრიანი იყო, ხოლო შლირენცაუერი პირველ ჯერზე, მხოლოდ 126,5 მეტრზე გაფრინდა და სამეულშიც კი ვერ მოხვდა.

გუშინ ენგელბერგში კიდევ ერთი ეტაპი გაიმართებოდა, 30 დეკემბერს კი, მცირე საშობაო არდადეგების შემდეგ, ლეგენდარული შეჯიბრი — „ოთხი ტრამპლინის ტურნე“ დაიწყება გერმანულ ობერსდორფში.

**მსოფლიოს თასი. ენგელბერგი. შვეიცარია. 22-23 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| **პირადი. HS 137** | |
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 260,4 ქულა (132,5 მ და 133,0 მ) |
| 2. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) | 254,4 (134,5 და 128,5) |
| 3. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 252,9 (133,5 და 129,5) |
| 4. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 249,8 (126,5 და 134,5) |
| 5. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 242,6 (130,5 და 126,5) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 600 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაური (ავსტრია) | 349 |
| 3. იანე აჰონენი (ფინეთი) | 259 |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 256 |
| 5. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 250 |






# ფრანგები მარსელიდან

**ფრანგებმა** — ფაბიენ ჟილომ, გრეგუარ მალემ, რომან კაფუმ და ფრედერიკ ბოსკემ ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს 4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში 25 მეტრიანი აუზებისთვის.

ფრანგულმა კვარტეტმა „მოკლე“ წყალში ჯამური 400 მეტრი 3 წუთსა და 08,29 წამში დაფარა და 2000 წლის 16 მარტს შვედეთის ნაკრების მიერ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

აღსანიშნავია, რომ ახალი რეკორდსმენები ერთი ქალაქის, მარსელის მკვიდრნი არიან და იქაურ კლუბს წარმოადგენენ, ანუ ერთი კლუბის ხალხმა მთლად ეროვნული საქმე იტავა და ნაკრებთა მსოფლიოს რეკორდს მისამართი შვედეთიდან საფრანგეთზე შეუცვალა.



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**21 დეკემბერი**

**კოლუმბუსი 2:1 ლოს ანჯელესი**
*0:1 1:0 1:0*
0:1 კამალერი (14), 1:1 ნოვოტნი (38), 2:1 ფერდერი (41)

**პიტსბურგი 2:4 აილენდერსი**
*1:1 1:1 0:2*
0:1 შატანი (1), 1:1 კრისტენსენი (19), 2:1 სტაალი (25), 2:2 ჟილბერტი (29), 2:3 კომო (51), 2:4 ჰანტერი (52)

**ბუფალო 3:2 ფილადელფია**
*1:0 0:2 2:0*
1:0 სტეფორდი (18), 1:1 კარტერი (23), 1:2 ლუპული (23), 2:2 კოტალიკი (45), 3:2 ხეხტი (58)

**ედმონტონი 1:3 ნიუ ჯერსი**
*1:0 0:0 0:3*
1:0 პიტკანენი (16), 1:1 ელიაში (45), 1:2 ჯიონტა (46), 1:3 მადენი (60)

**კოლორადო 4:3 რეინჯერსი**
*0:1 2:2 1:0 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 შენაჰენი (14), 1:1 ჰეიდუკი (24), 2:1 ჰეიდუკი (28), 2:2 როზივალი (29), 2:3 სტაალი (30), 3:3 სვატოში (49), 4:3 ვოლსკი (62)

**კალგარი 2:3 დალასი**
*0:1 2:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 რიბეირო (3), 1:1 ტანგუეი (25), 2:1 ლომბარდი (37), 2:2 ჰაგმანი (45), 2:3 რიბეირო (64)

**22 დეკემბერი**

**ბოსტონი 2:4 სენტ ლუისი**
*0:1 0:1 2:2*
0:1 სტემპნიაკი (12), 0:2 ბოიესი (38), 1:2 ხარა (48), 2:2 კობასიუ (55), 2:3 მაიერსი (58), 2:4 ტკაჩუკი (60)

**ოტავა 3:4 ჩიკაგო**
*2:1 1:1 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 მაკამონდი (6), 1:1 ლაპოინტი (8), 2:1 ჰიტლი (11), 3:1 ჰიტლი (23), 3:2 სიბრუკი (28), 3:3 შარპი (41), 3:4 ტოიესი (63)

**აილენდერსი 3:2 ვაშინგტონი**
*0:0 1:1 1:1 1:0 (ოვერტაიმში)*
1:0 შატანი (31), 1:1 სიომინი (38), 2:1 კამპოლი (58), 2:2 ოვეჩკინი (60), 3:2 პარკი (64)

**ფლორიდა 1:2 ტორონტო**
*0:1 1:0 0:0 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 ველვუდი (6), 1:1 ოლესცი (40), 1:2 კუბინა (61)

**ატლანტა 3:2 მონრეალი**
*1:1 1:0 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 კოზლოვი (5), 1:1 კოსტიცინი (13), 2:1 პერინი (39), 2:2 კოვალიოვი (49)

**ფილადელფია 5:6 ბუფალო**
*1:1 3:3 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 აფინოგენოვი (3), 1:1 კარტერი (17), 1:2 კოტალიკი (23), 1:3 პომინვილი (28), 2:3 კარტერი (33), 3:3 რიჩარდსი (34), 3:4 შპაჩეკი (36), 4:4 რიჩარდსი (40), 5:4 ტიმონენი (44), 5:5 ვანეკი (60)

**ტამპა 1:4 კაროლინა**
*1:1 0:0 0:3*
1:0 სენ ლუი (1), 1:1 ლედი (19), 1:2 უოტსი (50), 1:3 უოტსი (59), 1:4 სტაალი (60)

**მინესოტა 1:4 დეტროიტი**
*0:1 1:2 0:1*
0:1 დაციუკი (7), 0:2 ფრანცენი (36), 0:3 კლიერი (36), 1:3 ოუმონი (40), 1:4 კოპეცკი (50)

**ნეშვილი 4:3 ლოს ანჯელესი**
*1:1 2:1 1:1*
1:0 არნოტი (3), 1:1 ვიშნოვსკი (12), 1:2 ოსალივანი (31), 2:2 სუტერი (33), 3:2 არნოტი (55), 4:2 არნოტი (44), 4:3 ოსალივანი (52)

**ფინიქსი 1:2 ვანკუვერი**
*0:0 0:0 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 დ. სედინი (51), 1:1 მიხალეკი (55)

**სან ხოსე 2:5 ანაჰაიმი**
*0:1 0:2 2:2*
0:1 პრონგერი (18), 0:2 პერი (31), 0:3 კუნიცი (32), 1:3 მარლო (44), 1:4 ბერტუცი (45), 2:4 გორი (52), 2:5 ოდონელი (59)

ავტორბოლა

# მაქს მოსლის დასკვნა: შესანიშნავი და სამართლიანი



**ლონდონის** გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნდა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ მაქს მოსლის ინტერვიუ, რომელშიც მან გასული საპირველფორმულო სეზონი შეაჯამა.

შეგახსენებთ, რომ „სამეფო რბოლების" 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი 21 ოქტომბერს ბრაზილიაში დასკვნითი ეტაპით არ დასრულებულა, რადგან სკანდალებით დახუნძლული სეზონის გვირგვინოსანი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, ფედერაციის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გაირკვა.

ერთი სიტყვით, საჯაშუშო თუ ტექნიკური სახის სკანდალებმა საგრძნობლად კი წაახდინეს წლევანდელი ჩემპიონატის წმინდა სპორტული სახე, მაგრამ ამის შედეგად ტურნირის მიმართ საყოველთაო ყურადღება აშკარად გაიზარდა.

67 წლის პრეზიდენტი მოსლი განვლილ სეზონს ჩინებულად თვლის: „სეზონი შესანიშნავი გამოვიდა, რადგან დაძაბულობა დასკვნითი რბოლის ბოლო წრეებამდეც კი არ შენელებულა. ბუნებრივია, ასეც უნდა იყოს".

FIA-ს პრეზიდენტს დღესაც მიაჩნია, რომ კანონის შესაბამისად „მაკლარენ-მერსედესის" მრბოლები გუნდის მოკვეთის შემდეგ ჩემპიონატს უნდა გამოთიშულიყვნენ და ამიტომაც მას სიამოვნებს, რომ ტიტული კიმი რაიკონენს ხვდა: „შვება ვიგრძენი, რადგან „მაკლარენის" რომელიმე მრბოლს რომ გაემარჯვა, სეზონის შედეგები დიდ კითხვებს გამოიწვევდა და ყველანი მეტად რთულ ვითარებაში აღმოვჩნდებოდით. ვფიქრობ, ამ მხრივ ძალიან გაგვიმართლა".

**გია ახალაძე**

რაგბი

# ტუკირი შანსს შრომაში ხედავს

**რობი დინსის** მწვრთნელად მოსვლისა და კრის ლათამის ევროპაში გადაბარგების შემდეგ ავსტრალიელ მცველ ლოთე ტუკირის იმედი მიეცა, რომ „ვოლაბის" შემადგენლობაში უფრო მეტი სათამაშო დრო მიეცემა. 28 წლის მართლაც უნიჭიერეს მოთამაშეს ნაკრებში დიდი კონკურენციის გადალახვა მოუწევს, ადგილს ხომ მინიმუმ ოთხი მაღალი დონის მორაგბე ეცილება. ჯულიან ჰუკსლი, დრიუ მიჩელი, კამერონ შეფარდი და ადამ ეშლი-კუპერი ის ბიჭები არიან, რომლებიც ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად ყველაფერს აკეთებენ. ჰოდა, ტუკირის მონური შრომის გაწევა უხდება, რათა რობი დინსს თავი მოაწონოს. ამის შესახებ თვითონაც განაცხადა.

— რობი თავადაც ხედავს, თუ როგორ ვშრომობ. მართალია, 28 წლის ვარ, მაგრამ მაინც მჯერა, რომ საუკეთესო წლები წინ მაქვს და კიდევ ბევრ მაღალი დონის თამაშს ჩავატარებ. ვხვდები, რომ ფეხით თამაში უნდა გამოვასწორო. ამაზეც ვმუშაობ და ნაკრებში ჩემს შანსს მოთმინებით ველი.

**ზურაბ მიბრიაული**

კრივი

# ჰეი რაჰმანს შეხვდება?

**27 წლის** ბრიტანელი დევიდ ჰეი, რომელმაც ნოემბერში პირველ მძიმე წონაში WBC-სა და WBA-ს ქამრები გააერთიანა, შეიძლება მძიმე წონაში ექსჩემპიონ ჰასიმ რაჰმანს შეხვდეს.

ჰეის ამავე წონაში WBO-ს ტიტულის მფლობელ, ასევე ბრიტანელ ენცო მაკარინელისთან დატაკება უფრო უნდოდა, მაგრამ მათი პრომოუტერები ვერ შეთანხმდნენ. სწორედ ამის შემდეგ წამოიჭრა რაჰმანის კანდიდატურაც და ჯერჯერობით ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ჰეის სწორედ ამერიკელთან მოუწევს რინგზე გასვლა.


დევიდ ჰეი

# ჰატონის კიდევ ხუთი

**ახლახან** ფლოიდ მეივეზერისგან გალახული რიკი ჰატონის მამამ, რეი ჰატონმა, განაცხადა, რომ მისი შვილი რინგზე დიდხანს დარჩენას არ აპირებს. უფროსი ჰატონის თქმით, რიკიმ კიდევ დიდი-დიდი ხუთჯერ იჩხუბოს და მერე რინგს საერთოდ მიანებებს თავს:

„რიკი მხოლოდ 29 წლისაა, მაგრამ მას სურს, დროულად წავიდეს რინგიდან. არ უნდა, იქამდე მიიყვანოს საქმე, რომ მასთან ჩხუბი არა მისი შესაძლებლობების, არამედ სახელის გამო მოინდომონ. ამიტომ, ვფიქრობ, კიდევ ხუთჯერლა თუ გავა რინგზე — სამჯერ მომავალ წელს და ორჯერაც 2009-ში. რაც შეეხება მის მომდევნო ჯახს, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია — ვიცი მხოლოდ ის, რომ ძალიან სურს მშობლიურ მანჩესტერში ჩხუბი".

**კახა ლომაშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 30 | ვესტ ჰემი-რედინგი | 1.90 | 3.10 | 3.70 | 1.17 | 1.25 | 1.68 |
| 23:45 | 31 | უიგანი-ნიუკასლი | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| 23:45 | 32 | ბირმინგემი-მიდლზბრო | 2.25 | 3.10 | 2.95 | 1.30 | 1.27 | 1.51 |
| 23:45 | 33 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.40 | 3.90 | 7.20 | 1.03 | 1.17 | 2.52 |
| 23:45 | 35 | დერბი-ლივერპული | 7.50 | 4.30 | 1.35 | 2.73 | 1.14 | 1.02 |
| 23:45 | 36 | ევერტონი-ბოლტონი | 1.65 | 3.40 | 4.65 | 1.11 | 1.21 | 1.96 |
| 23:45 | 38 | პორცმუთი-არსენალი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 23:45 | 40 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 6.50 | 3.70 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.04 |
| 23:45 | 42 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| | | 27 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 37 | სიტი-ბლეკბერნი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | ინგლისი. ჩემპიონშიპი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 73 | შეფილდი-ბლეკპული | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 23:45 | 74 | უოტფორდი-კარდიფი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:45 | 75 | ბარნსლი-სტოკი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 76 | ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 23:45 | 77 | ბერნლი-[illegible] | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 78 | კოლჩესტერი-საუთჰემპტონი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:45 | 79 | ქოვენტრი-შეფილდ [illegible] | 2.20 | 3.10 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 23:45 | 80 | ჰალი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 23:45 | 81 | ლესტერი-იფსვიჩი | 2.35 | 3.10 | 2.75 | 1.33 | 1.26 | 1.45 |
| 23:45 | 82 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 83 | პლიმუთი-ქპრ | 1.75 | 3.30 | 4.25 | 1.14 | 1.23 | 1.85 |
| 23:45 | 84 | პრესტონი-სკანთორპი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 289 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 290 | რეინჯერსი-მაზერველი | 1.35 | 4.40 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 19:00 | 291 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 4.90 | 3.50 | 1.60 | 2.04 | 1.20 | 1.09 |
| 19:00 | 292 | ფოლკერკი-ინვერნესი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 293 | გრეტნა-აბერდინი | 4.25 | 3.30 | 1.75 | 1.85 | 1.23 | 1.14 |
| 19:00 | 294 | ჰარტსი-სენტ მირენი | 1.55 | 3.50 | 5.35 | 1.07 | 1.20 | 2.11 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 499 | გრაფსხაპი-ალკმაარი | 3.25 | 3.20 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| 22:30 | 500 | ნაიმეგენი-ვიტესე | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 22:30 | 501 | გრონინგენი-პსვ | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 22:30 | 503 | ფეიენოორდი-სპარტა | 1.25 | 4.70 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 2.96 |
| | | 27 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 504 | უტრეხტი-ჰერაკლესი | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 22:30 | 505 | ბრედა-ვენლო | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:30 | 506 | აიაქსი-ტვენტე | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 22:30 | 508 | ჰერენვენი-ტილბურგი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 22:30 | 509 | როდა-ექსელსიორი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| | | ჰოკ. გერმანია | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 828 | ფრანკფურტი-ჰანოვერი | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 22:30 | 829 | ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| | | ჰოკ. რუსეთი | | | | | | |
| | | 24 დეკემბერი | | | | | | |
| 19:30 | 908 | სევერსტალი-ნოვოკუზნეცკი | 1.40 | 4.30 | 3.50 | 1.05 | 1.00 | 1.92 |
| 20:00 | 909 | მვდ-სპარტაკი | 1.45 | 4.20 | 3.30 | 1.07 | 1.00 | 1.84 |
| 20:00 | 910 | ლოკომოტივი-სიბირი | 1.30 | 4.20 | 4.60 | 1.00 | 1.01 | 2.19 |
| 20:00 | 911 | აკ ბარსი-ვიტიაზი | 1.15 | 4.50 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.57 |
| 20:00 | 912 | ნეფტეხიმიკი-ამური | 1.35 | 4.20 | 4.10 | 1.02 | 1.01 | 2.07 |
| 20:00 | 913 | ხიმიკი-მაგნიტოგორსკი | 2.30 | 4.20 | 1.80 | 1.48 | 1.00 | 1.25 |
| 20:00 | 914 | ატ-ტრაქტორი | 1.35 | 4.30 | 4.10 | 1.02 | 1.01 | 2.09 |
| 20:00 | 915 | ცსკა-სალავატი | 2.20 | 4.20 | 1.95 | 1.44 | 1.03 | 1.33 |
| 20:00 | 916 | ტორპედო-ლადა | 1.75 | 4.30 | 2.50 | 1.24 | 1.02 | 1.58 |
| 20:00 | 917 | დინამო მ-ავანგარდი | 1.80 | 4.30 | 2.40 | 1.26 | 1.02 | 1.54 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# 58 წელი: მოგებას თაობები ელიან

## იტალია

### სერია A
### XVII ტური

**ინტერი 2:1 მილანი**

0:1 პირლო (18), 1:1 კრუზი (36), 2:1 კამბიასო (62)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი (მატერაცი 38), მაქსველი, ხ. ძანეტი, კამბიასო, კოვუ, ლ. ხიმენესი (ვ. პელე 79), კრუზი (სუაზო 85), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე, მალდინი, გატუზო (ემერსონი 46), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (სერჯინიო 57), კაკა, ფ. ინძაგი (ჯილარდინო 46)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პირლო, კორდობა, გატუზო, ხიმენესი, მატერაცი, ამბროზინი, კრუზი
მსაჯი: მორგანტი
85 000 მაყურებელი

**რომა 2:0 სამპდორია**

1:0, 2:0 ტოტი (18პ, 90)
რომა: ა. დონი, პანუჩი, ფერარი, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, კასეტი, პეროტა (ბრიგი 81), ვუჩინიჩი (მანსინი 62), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
სამპდორია: კასტელაცი, კამპანარო, გასტალდელო (აკარდი 67), ლუკინი, მაჯო, ვოლპი, პალომბო, ფრანჩესკინი (სამარკო 62), პიერი, ბონაცოლი (კარაჩოლო 77)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: კასეტი, დე როსი, პიზარო, ლუკინი, ვოლპი, გასტალდელო, ვოლპი
გაძევება: ვოლპი (57)
მსაჯი: ჯერვაზონი
40 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:0 სიენა**

1:0 სალიჰამიჯიჩი (32), 2:0 ტრეზეგე (59)
იუვენტუსი: ბუფონი, სალიჰამიჯიჩი (გრიგერა 68), ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, ტიაგუ (ალმირონი 73), ნოჩერინო, კ. ძანეტი, ნედვედი (პალადინო 79), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
სიენა: მანინგერი, ბერტოტო, პორტანოვა, ლორია, დე ჩელიე, ვერგასოლა, კოდრია, გალოპა (ფორესტიერი 78), ლოკატელი (როსი 66), ფრიკი, მაკარონე (კორვია 65)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ტიაგუ, ძანეტი, ტრეზეგე
მსაჯი: დამატო
20 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 5:1 კალიარი**

1:0 მონტოლივო (3), 1:1 ფინი (4), 2:1, 3:1 მუტუ (41, 45პ), 4:1, 5:1 სანტანა (50, 79)
ფიორენტინა: ლუპატელი, იორგენსენი (დაინელი 46), უიფალუში, გამბერინი, პასკუალი, ლივერანი, კუზმანოვიჩი, მონტოლივო (პაზიენცა 69), სანტანა, ვიერი, მუტუ (ოსვალდო 80)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
კალიარი: მარუოკო, ფერი, კანინი, ბიანკო, დელ გროსო, ფინი, კონტი (კოტცა 82), პაროლა, მანკოზუ (დაგოსტინო 61), ფოჯა (აკვაფრესკა 46), ლარივეი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: ფერი, დაინელი
მსაჯი: რუსო
36 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:2 ემპოლი**

1:0 დოსენა (21), 1:1 რაჯი (51), 2:1 დი ნატალე (85), 2:2 მარიანინი (90)
უდინეზე: ჰანდანოვიჩი, საპატა, ფელიპე, ლუკოვიჩი, მესტო (პეპე 69), დაგოსტინო, ინლერი, დოსენა, ფლორო ფლორესი (ფერონეტი 86), კვალიარელა, დი ნატალე
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
ემპოლი: ბალი, რაჯი, მარცორატი, პრატალი, ანტონინი, ბუშე, მარიანინი, მორო, ვანუკი (ვანილი 63), ჯოვინკო (აბატე 76), საუდატი
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: მორო, პრატალი, ფლორო ფლორესი, პრატალი, ინლერი
გაძევება: პრატალი (57)
მსაჯი: ვალერი
25 000 მაყურებელი

**პალერმო 2:2 ლაციო**

1:0 სიმპლისიო (34), 2:0 ამაური (46), 2:1 ფირმანი (58), 2:2 ტარე (80)
პალერმო: ალიარდი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, კაპუანო, გუანა, მილიაჩო (კაზერტა 26), სიმპლისიო (ბრიენცა 90), კავანი (დიანა 69), მიკოლი, ამაური
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ლაციო: ბალოტა, დე სილვესტრი, სივილია, კრიბარი, კოლაროვი, ვინიაროლი (დელ ნერო 60), ფირმანი, ლედესმა, მანფრედინი (სკალონი 77), მაკინვა (ტარე 56), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: დე სილვესტრი, კოლაროვი, ლედესმა, დელ ნერო, გუანა, კაპუანო, დიანა, დე სილვესტრი
გაძევება: სივილია (76), დე სილვესტრი (89)
მსაჯი: ორზატო
39 000 მაყურებელი

**ლივორნო 1:1 ატალანტა**

1:0 გალანტე (26), 1:1 ტისონე (33)
ლივორნო: დე ლუჩია, გრანდონი, კნეზევიცი, გალანტე, ბალერი, ა. ფილიპინი (დიამანტი 54), დე ვეცე, ბერგვოლდი (ჯანიკედა 77), პასკუალე, ტავანო, ტრისტანი (ბოგდანი 86)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ატალანტა: კოპოლა, ბელერი, რივალტა, პელეგრინო, ბელინი, ფერეირა პინტუ (დედონდი 71), ტისონე, დე აშენტისი, პადოინი (ბერნარდინი 74), ფლოკარი, მუსლიმოვიჩი (მანფრედინი 82)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: გრანდონი, დე ვეცე, ბალერი, ტისონე, მუსლიმოვიჩი
მსაჯი: დე მარკო
6 000 მაყურებელი

**ნაპოლი 1:1 ტორინო**

0:1 როზინა (36პ), 1:1 ჰამსიკი (80)
ნაპოლი: იეცო, კონტინი, კანავარო, დომიცი, გარიკსი, ბლაზი, გარგანო, ბოლიაჩინო (სოსა 66), სავინი (ჰამსიკი 46), ლავეცი (კალაიო 70), ზალაიეტა
მწვრთნელი: ედუარდო რეხა
ტორინო: სერენი (ფონტანა 62), პ. ძანეტი, დი ლორეტო, ნატალი, დელაფიორე, გრელა, კორინი, ბაროне, როზინა (ლაზეტიჩი 46), ბიელანოვიჩი (რეკობა 72), დი მიკელე
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: გრელა, კონტინი, სავინი, გრელა, ბარონე
გაძევება: გრელა (42)
მსაჯი: ტრეფოლონი
35 000 მაყურებელი

**ჯენოა 1:0 პარმა**

1:0 ბორიელო (43პ)
ჯენოა: რუბინიო, კონკო, დე როზა, სანტოსი, მაზიელო, პარო (როსი 45), მილანეტო, იურიჩი, ლეონი (პაპა ვაიგო 77), ბორიელო, სკული (ფაბიანო 86)
მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი
პარმა: ბუჩი, კოლი, ფალკონე, პაჩი, ძენონი (დესენა 87), მორონე, ჩიგარინი, რეჯინალდო (პაპონი 78), გასბარონი (მატეინი 56), პიზანუ, კორადი
მწვრთნელი: დომენიკო დი კარლო
გაფრთხილება: რეჯინალდო, იურიჩი, გასბარონი, მაზიელო, ჩიგარინი, ბორიელო, კორადი
მსაჯი: ჯირარდი
27 000 მაყურებელი

**რეჯინა 3:1 კატანია**

1:0, 2:0 ვიჯანი (34, 78), 2:1 ვარგასი (90), 3:1 ვიჯანი (90)
რეჯინა: ნოვაკოვიჩი, ლანძარო, ვალდესი (კერუბინი 72), არონიკა, ვიჯანი, ბარეტო, კოცა, მისიროლი, მოდესტო, კერავოლო (მონტიელი 74), ამორუზო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
კატანია: პოლიტო, სარდო, ტერლიცი, სტოვინი, ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი (საბატო 72), ბიაჯანტი (სილვესტრი 77), იცკო, მარტინესი (მორიმოტო 46), კოლუჩი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: სარდო, ვარგასი, ბიაჯანტი, არონიკა, ტერლიცი, ბაიოკო, მორიმოტო, ლანძარო, სარდო
გაძევება: სარდო (87)
მსაჯი: როზეტი
10 000 მაყურებელი



ჰასან სალიჰამიჯიჩმა „სიენას“ ეს-ესაა გაუტანა

**მილანური** დერბის ამბებს გვერდი ავუაროთ — ამაზე ცალკე მოგახსენებთ, ქვემოთ კი, მე-17 ტურის სხვა თამაშებზე ვთქვათ.

რასაკვირველია, ჩემპიონობის მოსურნენი „მადონინაში“ „მილანს“ ქომაგობდნენ და ახლა უგუნებოდაც ბრძანდებიან, ის თამაში მათთვის სასურველი შედეგით რომ არ დასრულდა.

ჩემპიონობის მოსურნენი ვახსენეთ და, ასეთნი ორნილა არიან — „რომა“ და „იუვენტუსი“. ორივემ მოიგო.

რომაელებმა „სტადიო ოლიმპიკოზე“ მოუგეს „სამპდორიას“ და ორივე გოლი ფრანჩესკო ტოტიმ გაიტანა. ამათგან მეორე გოლი ტოტის 160-ე გახლდათ სერია A-ში.

ასეთივე ანგარიშით იმარჯვა „იუვენტუსმაც“, მისი მეტოქე კი „სიენა“ იყო.

ტურინელები 27 ოქტომბრის მერე დაუმარცხებლები არიან და ახლაც არ გასჭირვებიათ მოგება. თუმცალა, ტურინელმა ჯორჯო კიელინიმ ერთ ეპიზოდში კინაღამ ავტოგოლიც შეაგდო.

ოთხეულში ადგილის მაძიებელთაგან კი „უდინეზემ“ წაიფორხილა. უდინელებმა შინ „ემპოლის“ ვერ მოუგეს.

მასპინძელმა დი ნატალემ (სხვათა შორის, ყოფილმა ემპოლელმა) მეორე გოლი რომ გაიტანა, 85-ე წუთი მიდიოდა და, ვინ იფიქრებდა, დი ნატალეს კარიერაში მე-100 გოლი გამარჯვებისა რომ არ გამოდგებოდა. მაგრამ სულ ბოლო წუთზე, უფრო სწორად კი წამებზე, მარიანინიმ გაათანაბრა და ყოფილი თანაგუნდელი საიუბილეო გოლით არ გაახარა.

ჩვენ კი ისევ ინტერესით ვკითხულობთ „ემპოლის“ შემადგენლობას და ლევან მჭედლიძის გვარის ამოკითხვას ველით.

უდინელთა წაფორხილების მერე „ფიორენტინა“ ოთხეულს ერთ ქულამდე მიუახლოვდა.

„კალიარი“ ფლორენციაში რომ გაირლვა და ცხრილის ფსკერზე დარჩა, ამაში უცნაური არც არაფერია. ბოლოს და ბოლოს, კალიარელებს „იების“ სამშობლოში 35 წელია (!) აღარ მოუგიათ, ფრეს კი ბოლოს 25 წლის წინ გამორჩნენ.

სხვა მატჩების საინტერესო ფაქტები კი ასეთია: „პარმამ“ მეორე გოლი შეხვედრის განახლებიდან 50 წამში გაიტანა;

„ატალანტამ“ ლივორნოში ბოლოს 58 წლის (!) წინ მოიგო და გამარჯვება ვერც ახლა შეძლო.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 17 | 13 | 4 | 0 | 37:9 | 43 |
| რომა | 17 | 10 | 6 | 1 | 33:18 | 36 |
| იუვენტუსი | 17 | 10 | 5 | 2 | 35:15 | 35 |
| უდინეზე | 17 | 8 | 5 | 4 | 22:21 | 29 |
| ფიორენტინა | 17 | 7 | 7 | 3 | 26:16 | 28 |
| პალერმო | 17 | 6 | 7 | 4 | 25:27 | 25 |
| ნაპოლი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:22 | 23 |
| ატალანტა | 16 | 5 | 7 | 4 | 23:21 | 22 |
| სამპდორია | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | 21 |
| კატანია | 17 | 5 | 6 | 6 | 17:19 | 21 |
| ჯენოა | 17 | 4 | 7 | 6 | 16:23 | 19 |
| მილანი | 14 | 4 | 6 | 4 | 21:12 | 18 |
| პარმა | 17 | 4 | 6 | 7 | 19:24 | 18 |
| ლაციო | 17 | 4 | 6 | 7 | 19:25 | 18 |
| ტორინო | 17 | 2 | 11 | 4 | 15:20 | 17 |
| ლივორნო | 16 | 3 | 6 | 7 | 19:27 | 15 |
| ემპოლი | 17 | 3 | 6 | 8 | 14:24 | 15 |
| სიენა | 17 | 2 | 8 | 7 | 17:25 | 14 |
| რეჯინა | 16 | 2 | 7 | 7 | 12:25 | 13 |
| კალიარი | 17 | 2 | 4 | 11 | 13:33 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 13 |
| კრუზი (ინტერი) | 10 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 9 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 9 |
| ტოტი (რომა) | 9 |
| ბელუჩი (სამპდორია) | 8 |
| ბორიელო (ჯენოა) | 8 |
| ამაური (პალერმო) | 7 |
| დი ნატალე (უდინეზე) | 7 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 7 |
| ქ. დონი (ატალანტა) | 7 |
| კაკა (მილანი) | 7 |
| პანდევი (ლაციო) | 7 |
| ზალაიეტა (ნაპოლი) | 7 |

### XVIII ტური
13 იანვარი, 2008

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | : | რომა |
| კალიარი | : | უდინეზე |
| კატანია | : | იუვენტუსი |
| ემპოლი | : | რეჯინა |
| ლაციო | : | ჯენოა |
| მილანი | : | ნაპოლი |
| პარმა | : | ფიორენტინა |
| სამპდორია | : | პალერმო |
| სიენა | : | ინტერი |
| ტორინო | : | ლივორნო |

### სერია B
### XIX ტური

ალბინოლეფე — ასკოლი 0:0; ბარი — ლეჩე 0:4; ბრეშა — რიმინი 2:0; ჩეზენა — ტრევიზო 4:1; გროსეტო — პიაჩენცა 2:1; მანტოვა — სპეცია 3:1; მოდენა — ფროზინონე 2:2; პიზა — რავენა 1:0; ტრიესტინა — აველინო 2:2; ვიჩენცა — კიევო 1:3; მესინა — ბოლონია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლონია | 19 | 11 | 6 | 2 | 23:9 | 39 |
| ლეჩე | 19 | 11 | 5 | 3 | 31:13 | 38 |
| პიზა | 19 | 11 | 5 | 3 | 31:24 | 38 |
| ალბინოლეფე | 19 | 11 | 4 | 4 | 31:18 | 37 |
| კიევო | 19 | 11 | 4 | 4 | 34:23 | 37 |
| მანტოვა | 19 | 10 | 4 | 5 | 31:19 | 34 |
| ბრეშა | 18 | 10 | 3 | 5 | 27:18 | 33 |
| რიმინი | 19 | 8 | 5 | 6 | 27:21 | 29 |
| მესინა | 19 | 8 | 4 | 7 | 17:23 | 28 |
| მოდენა | 19 | 7 | 5 | 7 | 27:24 | 26 |
| ფროზინონე | 19 | 7 | 5 | 7 | 27:27 | 26 |
| ასკოლი | 18 | 6 | 7 | 5 | 24:18 | 25 |
| ტრიესტინა | 19 | 6 | 6 | 7 | 25:32 | 24 |
| პიაჩენცა | 19 | 7 | 1 | 11 | 16:24 | 22 |
| გროსეტო | 19 | 5 | 7 | 7 | 16:24 | 22 |
| ბარი | 19 | 4 | 8 | 7 | 19:28 | 20 |
| სპეცია | 19 | 4 | 6 | 9 | 22:25 | 18 |
| აველინო | 19 | 4 | 5 | 10 | 19:26 | 17 |
| ტრევიზო | 19 | 4 | 3 | 12 | 19:31 | 15 |
| ჩეზენა | 19 | 2 | 8 | 9 | 21:31 | 14 |
| რავენა | 19 | 3 | 4 | 12 | 21:35 | 13 |
| ვიჩენცა | 19 | 2 | 7 | 10 | 17:32 | 13 |

### სერია C1/A
### XIX ტური

კავეზე — ჩიტადელა 1:1; ფოჯა — სასუოლო 1:0; ფოლინო — მანფრედონია 1:0; პადოვა — ნოვარა 5:0; პაგანეზე — ლუკო 1:0; პრო პატრია — მონცა 1:1; ტერნანა — ლენიანო 1:0; ვენეცია — პრო სესტო 2:1; ვერონა — კრემონეზე 1:1

### სერია C1/B
### XIX ტური

ანკონა — სანჯოვანეზე 2:0; არეცო — იუვე სტაბია 0:0; გალიპოლი — სალერნიტანა 2:0; ლუკეზე — პესკარა 2:1; მარტინა — მასეზე 2:3; პერუჯა — ლანჩანო 0:3; პისტოიეზე — კროტონე 3:1; პოტენცა — სორენტო 2:0; სამბენედეტეზე — ტარანტო 2:0

# ტაში ჯერ დაუკრა, მერე დააკვრევინა

**თუმცა,** ცხრილი ჩვენს მიმოხილვას ცხრილად ერთვის და, ბუნებრივია, მის გახმოვანებას აქ აღარ შევუდგებით. აქ „დერბი დელა მადონინაზე" მოგახსენებთ, მილანის ორი დიდი გუნდის დაპირისპირებაზე, რომელიც წლეულს იმითაც დამშვენდა, რომ ერთმანეთის პირისპირ იტალიისა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონები წარსდგნენ.

ვინც იტალიის პირველობას თვალყურს ადევნებს, კარგად მოეხსენება, რომ „მილანი" მიმდინარე სეზონში საერთაშორისოსგან განსხვავებით, საშინაო საქმეებს თავს ვერართმევს, ხოლო განსაკუთრებით უხეიროდ „სან სიროზე" გამოდის, სადაც, რაც ეს ჩემპიონატი დაიწყო, ერთხელაც არ მოუგია. გთხოვთ, ფორმალურად ნუ მოგვედავებით: გუშინ „მილანი" ოქმის მიხედვით სტუმარი იყო, ასე რომ კარლო ანჩელოტის ბიჭებმა შინ კვლავ ვერ მოიგესო, არ უნდა ვთქვათ, მაგრამ... „სან სიროზე" ისევ ვერ მოიგესო, რომ ვთქვათ ხომ მართალი ვიქნებით?

ისე, შავ-წითლებს მშობლიურ სტადიონზე 1 დეკემბრის შემდეგ არც უთამაშიათ. ბოლო, რაც მათ ამ მოედანზე ჰქნეს, „იუვენტუსთან" 0:0 გახლდათ. კიდევ, კაკაც პირველად იყო მილანში ფიფასა და „ფრანს ფუტბოლის" ვერსიებით წლის საუკეთესო ფეხბურთელის რანგში.

„დერბი დელა მადონინას" ორივე მხრიდან აკლდნენ დეიან სტანკოვიჩი, ოლივიე დაკური, ლუიშ ფიგუ, პატრიკ ვიეირა და რონალდო. თამაშის დაწყების წინ მაყურებელმა რაინდობის სასიამოვნო მაგალითი იხილა: „ინტერის" ფეხბურთელებმა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი მილანელები ტაშისცემით შეაცილეს მოედანზე. შემდეგ კი თამაში გახურდა.

პირველი დასამახსოვრებელი რამ ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გააკეთა: მე-4 წუთზე მისი დარტყმული ძელს ოდნავ გაეხახუნა. ამის შემდეგ საპირისპირო კართან ფილიპო ინძაგი კლარენს ზეედორფის ჩაწოდებულს სულ ერთი გოჯით ვერ მიწვდა.



**მაშ ასე, „დერბი დელა მადონინა" „ინტერის" გამარჯვებით დასრულდა. ეს გახლდათ სრულიად დამსახურებული მოგება, რომლის წყალობითაც მილანელმა შავ-ლურჯებმა სერია A-ს საშობაო ჩემპიონის იურიდიულად უმნიშვნელო, მაგრამ ლამაზი და, ალბათ, რწმენისმომგვრელი სახელი მოიხვეჭეს. ახლა, პირველი წრის დასრულებამდე ორი ტურით ადრე იტალიელები ჩემპიონატს წყვეტენ, რათა 13 იანვარს დაბრუნდნენ და განაგრძონ იქიდან, სადაც წუხელ გაჩერდნენ — „ინტერი", „რომა" და „იუვენტუსი"...**

შემდეგ კი ანგარიში გაიხსნა: ივან კორდობამ „ინტერის" საჯარიმოს წინ ინძაგი წააქცია, რისთვისაც ჯარიმა დაინიშნა, „მასპინძლებმა" კედელი აღმართეს, ოღესღაც ინტერელმა, ჯარიმათა დიდოსტატმა ანდრეა პირლომ კი ბურთს უბადლოდ დაჰკრა და ბადეში შეაგდო. ჟულიო სეზარმა რეაგირება ვერც მოასწრო.

მაგრამ, „ინტერი" არ დაიბნა, არც დანებდა მოწინააღმდეგეს და რამდენიმე წუთში ხულიო კრუზის გამჭოლ პასს დიდამ ხელი ისე გაჰკრა, რომ ბურთი მაინც მეტოქეს, ლუის ხიმენესს მიუვიდა, მისი დარტყმული კი ხარიხაზე აცეკვდა. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ჩილელმა ხიმენესმა ეს შეხვედრა საუცხოოდ ჩაატარა.

მოგვიანებით დიდამ კრისტიან კივუს სახიფათო საჯარიმო დარტყმა დაიჭირა, იქით კი კაკამ შეუტია უსწრაფესად. ბრაზილიელი არგენტინელ მეტოქეს, ვალტერ სამუელს უპირებდა თავგზის აბნევას, მაგრამ სამუელმა მუხლი იტკინა და მოედნიდან გასაყვანი გახდა.

სანამ სამუელს მარკო მატერაცი შეცვლიდა, ერთი ხანი გავიდა და ამ ხანში... „ინტერმა" გაათანაბრა: კრუზმა მარცხენა ფეხით დაარტყა და ბურთი დიდას ახლო კუთხეში შეუგდო. ეს გახლდათ მისი მე-10 გოლი მე-13 შეხვედრაში.

ამის შემდეგ მეტოქეებმა მსაჯს პენალტი მოთხოვეს: აქეთ კახა კალაძეს ხელში მოხვდა ბურთი, მაგრამ არბიტრმა მორგანტიმ ეს ეპიზოდი უწებლიედ შეაფასა და არ დაუსტვინა, იქით კი მარკო მატერაცისა და კაკას ორთაბრძოლამ გამოიწვია ემოცია.

შესვენების შემდეგ „მილანი" მოედნზე ერთი შეხედვით უცნაურად შეცვლილი დაბრუნდა: გასახდელში ანჩელოტის ჯენარო გატუზოს ნაცვლად ემერსონი, ინძაგის ნაცვლად კი ალბერტო ჯილარდინო დააჯენებინა. ცნობისათვის: ტრავმის გამო გატუზოს თამაში იმთავითვე საეჭვო იყო.

თამაში რომ განახლდა, ჯერ კალაძემ ითამაშა კარგად იბრაჰიმოვიჩის წინააღმდეგ, შემდეგ კივუმ ჯილარდინოს წინააღმდეგ ივარგა. შემდეგ ისევ შავ-წითლებს შეეძლოთ სახიფათო კონტრშეტევის წამოწყება, მაგრამ პირლოს პასი კლარენს ზეედორფამდე არ მივიდა. მერე ესტებან კამბიასომ ააცილა მიზანს, ანჩელოტიმ კი მესამე ცვლილებას მიმართა — ზეედორფი სერჟინიოთი შეცვალა.

და ამ ამბიდან ცოტა ხანში „ინტერმა", კერძოდ კი უკვე ნახსენებმა კამბიასომ გამარჯვების გოლი გაიტანა: პაოლო მალდინის თითქოსდა „გამოტანილი" ბურთი არგენტინელმა მიიღო, დაარტყა და, როგორც გაირკვა, დიდას თავგზა აუბნია. ბრაზილიელი მეკარე მარცხნივ დაწვა, ბურთმა კი მისგან მარჯვნივ მოუხვია და ფეხებთან გაუძვრა.

მერე ჟულიო სეზარმა მოიგერია კაკას დარტყმული, ალესანდრო ნესტამ და პირლომ კი დამაგვირგვინებელი დარტყმა ვერ მოახერხეს, ერთი ხნის შემდეგ კი მასიმო ამბროზინიმ სერჟინიოს პასს უშუალოდ კარის ხაზის წინ ვერ მიკრა ფეხი...

„მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლოს გაგვიჭირდა ცოტა, სხვა მხრივ კი თამაშს ვაკონტროლებდით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ — თქვა მატჩის შემდეგ „ინტერის" თავკაცმა რობერტო მანჩინიმ — პირველ ტაიმში „მილანმა" მხოლოდ პირლოს უბადლოდ შესრულებული საჯარიმოთი გაგვიტანა გოლი, თორემ თამაშით ვერ გვაჯობა".

**ბაჩუნა ძედია**







# ტოტენჰემმა ალმუნია ვერ გატეხა



იონ კარეუს გოლი „მანჩესტერ სიტის" კარში

## ინგლისი

### პრემიერლიგა XVIII ტური

**ბლექბერნი 0:1 ჩელსი**

0:1 ჯ. კოული (22)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნელსენი, ხიზანიშვილი, უორნოკი, ბენტლი, დანი, ემერტონი, თუგაი (რობერტსი 73), პედერსენი, რიდი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ჩელსი: ჩეხი (ილარიო 64), პ. ფერეირა, ალექსი, რ. კარვალიუ, ეშლი კოული, მიკელი, ესიენი, ლამპარდი, ჯ. კოული (კ. პიზარო 81), შევჩენკო (შ. რაიტ-ფილიპსი 67), ს. კალუ
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: ალექსი, დანი, კარვალიუ
მსაჯი: ბენეტი
23 966 მაყურებელი

**არსენალი 2:1 ტოტენჰემი**

1:0 ადებაიორი (48), 1:1 ბერბატოვი (66), 2:1 ბენდტნერი (76)
არსენალი: ალმუნია, სანია, კ. ტურე, გალასი, კლიში, აბუ (ბენდტნერი 74), ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი, გლები (ჟილბერტო სილვა 82), ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ტოტენჰემი: რობინსონი, ტაინიო, ჩიმბონდა, კაბული, ლი (ტაარაბტი 80), ლენონი, ოჰარა, ბოატენგი (ჰადლსტონი 60), მალბრანკი, ბერბატოვი, კინი (დეფო 74)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: გალასი, ბოატენგი, ბერბატოვი, ტაინიო
მსაჯი: სტაილზი
60 087 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:1 ევერტონი**

1:0 რონალდუ (22), 1:1 კეჰილი (27), 2:1 რონალდუ (88პ)
მანჩესტერი: კუშჩაკი, სიმპსონი (ოშე 46), ბრაუნი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი (საა 71), ანდერსონი (ფლეტჩერი 86), გიგზი, რუნი, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, ფ. ნევილი, იობო, ლესკოტი, კეჰილი (ანიჩებე 85), კარსლი, იაგიელკა, პიენაარი, ჯონსონი, აიეგბენი (გრავესენი 76)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: რუნი, ევრა, კეჰილი, ჰიბერტი, ანდერსონი, პიენაარი
მსაჯი: ვები
75 749 მაყურებელი

**ლივერპული 4:1 პორტსმუთი**

1:0 ბენაიუნი (13), 2:0 დისტინი (16ავ.), 2:1 მვარუვარი (57), 3:1, 4:1 ტორესი (67, 85)
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ბენაიუნი (ბაბელი 64), ჯერარდი, მასკერანო, კუიტი (აურელიო 67), ფ. ტორესი (ლეივა 86), კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი (ლორენი 46), კემპბელი, დისტინი, ჰრეიდარსონი, უტაკა (კანუ 46), დიოპი, პ. მენდეში, მუნტარი (ტეილორი 73), კრანჩარი, მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: არბელოა, დიოპი, ჰრეიდარსონი
მსაჯი: რაილი
43 071 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:1 სიტი**

0:1 ბიანკი (11), 1:1 კარეუ (14)
ასტონ ვილა: კარსონი, ნაითი, მელბერგი, ლაურსენი, ბუმა, მელოუნი (ს. პეტროვი 75), რეო-კოკერი, ბერი, იანგი, აგბონლაჰორი, კარეუ
მწვრთნელი: მარტინ ონილი
სიტი: ჰარტი, ონუოჰა, დანი, რიჩარდსი, ბოლი, ვასელი, ჰამანი (კორლუკა 70), ჯელსონი, მ. პეტროვი, ელანო (გარიდო 76), ბიანკი (ეტუჰუ 85)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ბერი, რეო-კოკერი, ჰამანი, ჯელსონი, ბოლი, ვასელი
მსაჯი: მეისონი
41 455 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:2 დერბი**

0:1 ბერნესი (6), 1:1 ვიდუკა (27), 1:2 მილერი (52), 2:2 ვიდუკა (87)
ნიუკასლი: გივენი, ბეიე, კასაპა, როზენალი (ტეილორი 58), ბარტონი (ემრე 75), ბათი (დაფი 68), მილნერი, ნზოგბია, მარტინსი, სმიტი, ვიდუკა
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
დერბი: ბივატერი, ლიუკი, მაკიველი, მორისი, მური, ბერნესი, ლუისი (ფაგანი 77), პირსონი, ტილი (ფილპაბერი 81), ჰოვარდი, მილერი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ტილი, ბათი, ნზოგბია, მილერი
მსაჯი: მარინერი
51 386 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:2 ვესტ ჰემი**

1:0 უიტერი (40), 1:1 ეშტონი (44), 1:2 პარკერი (90)
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, ვუდგეიტი (მუთი 63), უიტერი, პოგატეცი, ჯონსონი (კეტერმოლი 77), ბოატენგი, არკა, დაუნინგი, ალიადიერი, თუნჯაი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, აპსონი, მაკკარტნი, სპექტორი, სოლანო (ნობლი 76), პარკერი, მალინსი, ლიუნგბერგი, კამარა (პანცილი 85), ეშტონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ბოატენგი, არკა, პარკერი, სოლანო
მსაჯი: ატკინსონი
26 007 მაყურებელი

**ბოლტონი 3:0 ბირმინგემი**

1:0 დიუფი (72), 2:0, 3:0 ანელკა (78, 90)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ე. ობრაიენი, გარდნერი, ნოლანი, კამპო (მაკკანი 59), გუტრიე, დევისი (სემუელი 79), დიუფი, ანელკა
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ბირმინგემი: მ. ტეილორი, კელი, ჯაიდი, შმიტცი, სადლერი (კაპო 46), ლარსონი, ჯონსონი, ჯურუ მუამბა, მაკშეფრი (ოკონორი 74), ჯერომი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: ჰანტი, გარდნერი, დიუფი, ჯაიდი, ჯონსონი
მსაჯი: ფოი
19 111 მაყურებელი

**რედინგი 2:1 სანდერლენდი**

1:0 ინგიმარსონი (69), 1:1 ჩოპრა (82პ), 2:1 ჰანტი (90)
რედინგი: ჰანემანი, მარტი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, ჰანტი, ჰარპერი, გუნარსონი, კონვი (ლონგი 84), დოილი, კიტსონი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
სანდერლენდი: გორდონი, უიტჰედი, მაკშეინი, ჰიგინბოთემი, კოლინზი, ჩოპრა (სტოკსი 87), იორკი, ლიდბიტერი, მერფი (უოლესი 62), ჯონსი, კ. კოული (ეტუჰუ 62)
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: მერფი, ლიდბიტერი, ჯონსი, იორკი
მსაჯი: ტერნერი
24 082 მაყურებელი

**ფულემი 1:1 უიგანი**

0:1 ბენტი (70), 1:1 დემპსი (78)
ფულემი: ნიემი, ომოზუსი (ბაირდი 60), ბოკანეგრა, ჰიუზი, კონჩესკი, ბუაზა (კუქი 72), შ. დევისი (ჰილი 59), მერფი, ს. დევისი, კამარა, დემპსი
მწვრთნელი: ბილი მაკკინლი
უიგანი: კირკლანდი, ბოისი, შარნერი, ბრამბლი, კილბეინი, ვალენსია, ბრაუნი, ლანძაატი, ტეილორი (ოლემბე 86), აგაჰოვა (სიბიერსკი 63), მ. ბენტი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
მსაჯი: ვაილი
20 820 მაყურებელი

**ყველაზე** ძველი და მთავარი ლონდონური დერბი „არსენალსა" და „ტოტენჰემს" შორის მშვენიერი საცქერი გამოვიდა. პრემიერლიგის ლიდერმა „მეთოფეებმა" შეხვედრა სწრაფ ტემპში დაიწყეს, მაგრამ დებიუტში ვერაფერს გამორჩნენ და მიუხედავად შექმნილი მომენტებისა, პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა „არსენალმა" ერთი ამოსუნთქვით ჩინებულად შეუტია და გაიტანა კიდეც — ფრანსესკ ფაბრეგასმა დიდებული ქუსლურით უპასა ემანუელ ადებაიორს, ვისაც შეგდება აღარ გასჭირვებია.

ამის მერე „ტოტენჰემმა" იფხიზლა და „მამლებმა" მყისვე შექმნეს მწვავე მომენტი — აარონ ლენონის კროსს უმეთვალყურეოდ დარჩენილი რობი კინი დაუხვდა, მაგრამ მისი დარტყმული ხარიხამ აისხლიტა. გავიდა ცოტა ხანიც და სტუმრებმა მაინც გაიტანეს — კინის პასი დიმიტარ ბერბატოვმა შეირგო, ბულგარელის ძლიერ გასროლილს მანუელ ალმუნიამ ვერაფერი მოუხერხა.

8 წელია, „ტოტენჰემს" „არსენალისთვის" არ მოუგია და ნავსის გატეხვის ჩინებული შანსი შაბათს ჰქონდა, როცა 71-ე წუთზე კოლო ტურემ ბერბატოვი მოჩეხა და „მეთოფეების" კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ... გამოცდილი კინის გამორბენი, დარტყმა და „ალმუნია" ბურთს იგერიებს. აქედან სამ წუთში „მამლების" ირლანდიელი კაპიტანი ჯერმეინ დეფოთი შეცვალეს.

შეცვლა „არსენალმაც" მოახდინა, ვენგერმა ალექსანდრ გლების ნაცვლად მინდორზე ახალგაზრდა ბენდტნერი შეუშვა და არც ინანა. დანიელმა ფორვარდმა ამ მნიშვნელოვან მატჩში გამარჯვების გოლი ბურთთან პირველივე შეხებით შეაგდო — ფაბრეგასის მიერო ჩაწოდებულ კუთხურს თავურით დაუხვდა — 2:1.

„ლივერპულმა" საკუთარ კედლებში „პორტსმუთი" შემუსრა. „ენფილდზე" მე-16 წუთზე უკვე 2:0 იყო. ჯერ იქო და ჰარი კიუელის აქტიურობა იოსი ბენაიუნმა მშვენიერი დარტყმით დააგვირგვინა, მერე კი ჰარი რედნაპის გუნდის კარში კომიკური გოლი გავიდა — ბურთი კარში სტუმართა მცველის სილვენ დისტენის ფეხიდან შევარდა.

57-ე წუთზე ვითარება ცოტა დაიძაბა — შეცვლაზე შესულმა ნვანკვო კანუმ ბენჟანი მვარუვარის უპასა, რომელმაც ყველაფერი ბრწყინვალედ გააკეთა და სხვაობა შეამცირა. თუმცა დაძაბულობამ მხოლოდ ათ წუთს გასტანა, 67-ეზე მერსისაიდელთა მშვენიერ კომბინაციას მესამე გოლი მოჰყვა — აქტიურმა ფერნანდო ტორესმა დამატებაზე ივარგა. მატჩის მიწურულს ესპანელმა ფორვარდმა დუბლი გაიფორმა — სტივენ ჯერარდის აქტიურობის მერე იხეირა.

დიდი ამბები იყო „რედინგი" — „სანდერლენდის" მატჩში. მასპინძლები ივან ინგიმარსონის გატანილით დაწინაურდნენ, მაგრამ 82-ე წუთზე როი კინის „შავმა კატებმა" ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, კენვაინ ჯონსის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მაიკლ ჩოპრამ გაიტანა. მალევე სტუმრებს მეორე ბურთის შეგდება შეეძლოთ, მაგრამ ჯონსმა ვერ ივარგა და „სანდერლენდი" ამის გამო დაისაჯა — დამატებულ წუთებზე შეინ ლონგის კროსს სტივენ ჰანტის დარტყმა მოჰყვა, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია, მაგრამ, მსაჯების აზრით, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა.

სვენ გორან ერიკსონმა ისევ ძირითადში დააყენა როლანდო ბიანკი და იტალიელმაც ისევ გაიტანა, მაგრამ აქედან სამ წუთში იონ კარეუმ ანგარიში გაათანაბრა და „ასტონ ვილამ" „მანჩესტერ სიტის" ქულაზე მეტი არ გაატანა. ფრედ 1:1 მორჩა „ფულემი" — „უიგანის" მატჩიც, ოღონდ აქ გუნდებმა გოლები დებიუტში კი არა, შეხვედრის ბოლოსკენ გაცვალეს.

„მანჩესტერმა" შინ „ევერტონს" მოუგო. მატჩის გმირი კრიშტიანუ რონალდუ გახდა, ვინაც პირველი გოლი ბრწყინვალე სტილში შეაგდო და ბოლოს რაიან გიგზის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიც გამოიყენა. შუალედში კი ტიმ კეჰილმა თავურით იხეირა, მაგრამ ლივერპულელები მეტს ვერაფერს გამორჩნენ.

„ნიუკასლ იუნაიტედმა" კი მშობლიურ „სენტ ჯეიმს პარკზე" დაგეგმილი 3 ქულა ვერ აიღო. სამ ქულას ვინ დაეძებს და, მარკ ვიდუკა რომ არა, „კაჭკაჭები" სულაც წააგებდნენ. თან არ იკითხავთ, ვისთან? წყალწაღებულ „დერბისთან", რომელსაც მიმდინარე პრემიერლიგის 18 ტურში გამარჯვებას ერთადერთხელ ეზეიმა.

„ბლექბერნის" შემადგენლობაში კი ზურაბ ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა. ამას საგანგებოდ არც ალვნიშნავდით, ზურა დიდი ხნის უთამაშებელი რომ არ ყოფილიყო. თუმცა მისმა „ბლექბერნმა" „ჩელსის" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 18 | 13 | 4 | 1 | 36:15 | 43 |
| მანჩესტერი | 18 | 13 | 3 | 2 | 32:9 | 42 |
| ჩელსი | 18 | 11 | 4 | 3 | 23:10 | 37 |
| სიტი | 18 | 10 | 4 | 4 | 25:20 | 34 |
| ლივერპული | 17 | 9 | 6 | 2 | 31:11 | 33 |
| ევერტონი | 18 | 9 | 3 | 6 | 32:18 | 30 |
| პორტსმუთი | 18 | 8 | 6 | 4 | 29:19 | 30 |
| ასტონ ვილა | 18 | 8 | 5 | 5 | 29:21 | 29 |
